ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 24 აგვისტო, 2016 №200 (7126) ფასი: 50 თეთრი

ვახტანგ მაისაია: „ეს დივერსია ნაცმოძრაობის ინტერესში შეიძლებოდა ყოფილიყო“ გვ.4



23 აგვისტოდან

წიგნი სიყვარულისა

წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, მანონ ლესკო

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



# „ქართული ოცნება“ ნაციონალებს 0,3%-ით უსწრებს



## გერმანულმა კომპანიამ სოციოლოგიური კვლევა ჩაატარა

ქართული ოცნების რეიტინგი 35.9 %, ნაციონალური მოძრაობის კი 34.2 %-ია. სხვა პოლიტიკური ძალების მაჩვენებლები ასე გამოიყურება: სახელმწიფო ხალხისთვის – პაატა ბურჭულაძე – 9.8%; ლეიბორისტული პარტია – 5.4%; თავისუფალი დემოკრატები – ირაკლი ალასანია – 4.5%; პატრიოტთა ალიანსი – ირმა ინაშვილი – 2.4%; ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა – 2.2%; რესპუბლიკური პარტია – 0.7%; პოლიტიკური ცენტრი გირჩი – 0.5%; ახალი საქართველო – გიორგი ვაშაძე – 0.5%. გვ.2

## „ბურჭულაძე მესამე ძალა ვერ გახდა“ გვ.3



რამაზ საყვარელიძე: „ამის მიზეზი მისი ნაციონალებთან მიწებებაა“

## „ხვალ, 25 აგვისტოს, აჭარის დაბრუნებას აღვნიშნავთ“



გვ.5

ზვიად ჩიტიშვილი: „მალე აფხაზებთან და ოსებთან ერთად ვახტანგურად დავლევთ შერიგების სადღეგრძელოს“



## გივი თარგამაძე: „საგურამოს ტერაქტის მომზადებასთან ნაციონალებს კავშირი არ გვაქვს“ გვ.2

## სანდრა რულოვსი: „მე ვარ გარანტი, რომ ნაციონალების ძალადობა აღარ განმეორდება“



გვ.4

„არ არსებობს გეგმები, როგორ უნდა ჩამოვიდეს მიშა საქართველოში“

## ადვოკატი: „ბექაური აღიარებს, რომ ტერაქტს გეგმავდა, რადგან ვერ იტანს რუსებს“ გვ. 2

ISSN 1987-9385

„ბექაურმა გამომძიებლებს დაუფიქსირა, რომ არის მართლმადიდებელი ქრისტიანი“



ლურჯი ნითელი ყვითელი შავი

# „ქართული ოცნება“ ნაციონალებს 0,3%-ით უსწრებს

## გერმანულმა კომპანიამ სოციოლოგიური კვლევა ჩაატარა

**გუშინ, 23 აგვისტოს, ტელეკომპანია რუსთავი 2-მა გერმანული კომპანია ჯიეფკას მიერ სოციოლოგიური კვლევის შედეგები წარმოადგინა.**

კვლევა გერმანულმა კომპანიამ რუსთავი 2-ის დაკვეთით შეასრულა.

კითხვაზე, 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში რომელ პარტიას მისცემდით ხმას, შედეგები ასე გადანაწილდა:

ქართული ოცნება – 25.8%

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 25.5%

სახელმწიფო ხალხისთვის – პაატა ბურჭულაძე – 6.9%

ლეიბორისტული პარტია – 3.7%

თავისუფალი დემოკრატები – ირაკლი ალასანია – 2.9%

პატრიოტთა ალიანსი – ირმა ინაშვილი – 1.6%

ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა – 1.4%

რესპუბლიკური პარტია – 0.5%

პოლიტიკური ცენტრი გირჩი – 0.4%

ახალი საქართველო – გიორგი ვაშაძე – 0.4%.

არც ერთ პარტიას არ მისცემდა ხმას გამოკითხულთა 3.0%. პასუხზე უარი განაცხადა 7.7%-მა. კატეგორია „მიჭირს პასუხის გაცემა/ჯერ არ გადამიწყვეტია“ აირჩია 19.0%-მა.

* * *

გერმანულმა სოციოლოგიურმა კომპანიამ პარტიების რეიტინგიც გამოიკვლია.

„ქართული ოცნების“ რეიტინგი 35.9 %, ნაციონალური მოძრაობის კი 34.2 %-ია.

სხვა პოლიტიკური ძალების მაჩვენებლები ასე გამოიყურება:

სახელმწიფო ხალხისთვის – პაატა ბურჭულაძე – 9.8%; ლეიბორისტული პარტია – 5.4%; თავისუფალი დემოკრატები – ირაკლი ალასანია – 4.5%; პატრიოტთა ალიანსი – ირმა ინაშვილი – 2.4%; ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა – 2.2%; რესპუბლიკური პარტია – 0.7%; პოლიტიკური ცენტრი გირჩი – 0.5%; ახალი საქართველო – გიორგი ვაშაძე – 0.5%.

ტელეკომპანია რუსთავი 2 ხაზს უსვამს, რომ გირჩი, გიორგი ვაშაძის და პაატა ბურჭულაძის პარტიები საველე სამუშაოების დაწყებისას ცალცალკე სუბიექტები იყვნენ, ხოლო რესპუბლიკელები – ჯერ კიდევ მთავრობაში.

* * *

ჯიეფკამ საპრეზიდენტო კანდიდატების რეიტინგებიც გამოიკვლია. კითხვაზე, შემდეგ კვირას რომ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდეს, ვის მისცემდით ხმას, პასუხები ასე გადანაწილდა:

გიორგი მარგველაშვილი 10.5%

დავით ბაქრაძე 9.1%

მიხეილ სააკაშვილი 6.9%

ირაკლი ალასანია 4.8%

პაატა ბურჭულაძე 3.6%

გიორგი კვირიკაშვილი 3.0%

კვლევა 2-18 აგვისტოს ჩატარდა და პირდაპირი ინტერვიუს წესით 2.200 ადამიანი მთელი საქართველოს მასშტაბით გამოიკითხა.

როგორც რუსთავი 2 განმარტავს, ცდომილების ზღვარი 2.1%-ია.

# ადვოკატი: „ბექაური აღიარებს, რომ ტერაქტს გეგმავდა, რადგან ვერ იტანს რუსებს“

## „ბექაურმა გამომძიებლებს დაუფიქსირა, რომ არის მართლმადიდებელი ქრისტიანი“



**ტერაქტის მოწყობის მცდელობაში ბრალდებულ ბექა ბექაურის ადვოკატის, მაია ჭრელაშვილის, განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი წარდგენილ ბრალს აღიარებს და აცხადებს, რომ ტერაქტის მოწყობას ოკუპირებულ ტერიტორიასთან გეგმავდა, სადაც მავთულხლართებია განლაგებული.**

როგორც ადვოკატი აღნიშნავს, ბექაური ტერაქტის ორგანიზატორად მხოლოდ საკუთარ თავს ასახელებს და ამბობს, რომ განხორციელებასაც მარტო გეგმავდა. რაც შეხება დაკავებულ სხვა პირებს, ადვოკატი ვარაუდობს, რომ მათი დაკავება ბექაურთან კავშირის გამო მოხდა.

– ბექაური აღიარებს, რომ აპირებდა ტერაქტის მოწყობას ოკუპირებულ ტერიტორიასთან, იქ, სადაც მავთულხლართებია განლაგებული. მიზეზად ასახელებს იმას, რომ ვერ იტანს რუსეთს. ამბობს, რომ 3 წელი აგროვებდა იარაღს. მისივე თქმით, ჯარისკაცი იყო და არ გაუჭირდებოდა იარაღის შეგროვება, – განაცხადა ბექა ბექაურის ადვოკატმა.

გუშინ ბექაური გამომძიებლებმა მისი ცემის ფაქტზე დაკითხეს.

ადვოკატი მის კლიენტზე დაყრდნობით ამბობს, რომ ბექაურს დაკავებისას ერთმა სპეცრაზმელმა სცემა.

– იძახის, რომ სცემა სპეცრაზმელმა მაშინ, როდესაც სპეცრაზმი მივიდა საგურამოში მის დასაკავებლად. არავითარ ფიზიკურ ძალადობას აღიარებითი ჩვენების მიცემის მიზნით ადგილი არ ჰქონია. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი აცხადებს, რომ აღიარებითი ჩვენება ნებაყოფლობით მისცა, – განაცხადა მაია ჭრელაშვილმა.

გუშინვე პროკურატურაში დაიწყო გამოძიება ბექა ბექაურის შესაძლო ცემის ფაქტზე.

გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 333-ე მუხლით, რაც სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს.

* * *

მაია ჭრელაშვილმა საქმის სხვა დეტალებზეც ისაუბრა.

მისი თქმით, გამოძიებას სამი პირის მიმართ აქვს ეჭვი, რომ ისინი ვაჰაბიზმის მიმდევრები არიან.

საქმეში არსებობს გარკვეული მასალები, მათ შორის ფეისბუქ გვერდები და ფოტოსურათები, რომელთა თანახმადაც, ბექაური, მინდია ვაშაყმაძე და ჯაბა მელქაძე შესაძლოა ვაჰაბიზმის მიმდევრები იყვნენ.

როგორც ჭრელაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მისი კლიენტი ვაჰაბიზმის მიმდევრობას კატეგორიულად გამორიცხავს და ამბობს, რომ ისლამური სახელმწიფოს დროშის ფონზე სურათი მიზანმიმართულად არ აქვს გადაღებული.

– ბექაურმა გამომძიებლებს დაუფიქსირა, რომ არის მართლმადიდებელი ქრისტიანი და არავითარი შემხებლობა სხვა რელიგიასთან არ აქვს, – განაცხადა ჭრელაშვილმა.

კითხვაზე, აქვს თუ არა გამოძიებას ეჭვი, რომ ტერაქტი შესაძლოა რომელიმე უცხოური დაჯგუფების მიერ იყოს ორგანიზებული, ადვოკატის თქმით, საქმის მასალების მიხედვით, რაიმე უცხოურ ან ისლამურ დაჯგუფებებზე საუბარი არ არის.

* * *

ბექა ბექაურის ახლობლებისთვის უცნობია, იყო თუ არა ის ვაჰაბიზმის მიმდევარი.

როგორც ბექა ბექაურის დეიდამ, მზიანა სუბელიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, ერთი წლის განმავლობაში ბექა ბექაურს ახლობლებთან კონტაქტი არ ჰქონია და არ ფლობენ ინფორმაციას, შეიცვალა თუ არა მან რელიგიური მიმდევრობა.

– არ ვიცი საერთოდ, ვაჰაბიზმი რა არის. ერთი წელია, საერთოდ არ მინახავს. მარტის შემდეგ მოკლე ტექსტური შეტყობინებაც არ მოუწერია. ის არის მართლმადიდებელი ქრისტიანი, მონათლულია და არ ვიცი, თუ შეიცვალა ახლა რელიგია. ამაზე წესით სასჯელი არ უნდა იყოს, – განაცხადა სუბელიანმა.

მისივე თქმით, ბექაურის მოქმედებებში საეჭვო არც მის ცოლს შეუნიშნავს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ნიუპოსტს განუცხადეს, რომ ტერაქტის მომზადების ბრალდებით დაკავებულების საქმეში მათი ვაჰაბიზმთან კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტები არ არის წარმოდგენილი.

# გივი თარგამაძე: „საგურამოს ტერაქტის მომზადებასთან ნაციონალებს კავშირი არ გვაქვს“

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გივი თარგამაძე მმართველი ძალის პოლიტიკოსებს მოუწოდებს, ტერაქტის მომზადების საქმეს არ მისცენ წინასწარ, მათთვის წინასაარჩევნოდ გამოსაყენებელი მიმართულება.

როგორც თარგამაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, უხერხულია, როდესაც მიმდინარეობს აპელირება, რომ ტერაქტის ორგანიზების კვალი სწორედ მეგობარი ქვეყნიდან მოდის.

– სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ძალიან მწირი ინფორმაცია წარმოადგინა გუშინ. აქედან გამომდინარე, უშუალოდ ამ საკითხის კომენტირება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. თავისთავად, თუ რაიმე დანაშაული არის, მათი საქმეც სწორედ ესაა და უნდა გამოიძიონ ბოლომდე, – განაცხადა გივი თარგამაძემ.



მისი თქმით, მმართველი ძალის პოლიტიკოსები ნებისმიერ სხვა შემთხვევაში აცხადებენ, რომ გამოძიება მიმდინარეობს, ვერ გააკეთებენ კომენტარებს და ვერ ჩაერევიან ამ პროცესში, თუმცა ამ შემთხვევაში პირველივე წუთიდან აკეთებენ მინიშნებებს უკრაინულ კვალზე.

– უხერხულია ზოგადად მეგობარი ქვეყნის მიმართ აპელირება, როგორც ქვეყანაზე, რომ აქედანაა კვალი. ამ შემთხვევაში ორი ეჭვი ჩნდება – ან ეს არის კონკრეტული სიტუაცია, რომლის პოლიტიკური მიზნებით, წინასაარჩევნოდ გამოყენებას ცდილობენ, ან მათივე ინსინუაციაა თავიდან ბოლომდე და ასე ვთქვათ, თავიდანვე ამიტომ ჰქონდათ გამზადებული ეს კომენტარები, – განაცხადა თარგამაძემ.

მან ამ კონტექსტში ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ გაკეთებული მსგავსი განცხადებები გაიხსენა, რომლებიც სახელმწიფო გადატრიალებას და ე.წ. საბურავებს ეხებოდა.

– ჩვენ, ბუნებრივია, გვახსოვს ე.წ. საბურავების საქმე, რომელიც გამოძიებაში დარჩა, შემდეგ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის საქმე, რომელიც ასევე გამოძიებაში დარჩა და არანაირი პასუხები ჩვენ, საბოლოო ჯამში, არ მიგვიღია. ამიტომ, არ გამიკვირდება, რომ ესეც ამ რიგის საქმე იყოს. მეორე მხრივ, ფაქტია, რომ ერთი ერთში ჰგავს ეს ყველაფერი ცოტა ხნის წინ ყირიმში განხორციელებულ რუსულ ინსინუაციას, – აღნიშნა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა.

როგორც გივი თარგამაძემ განმარტა, ამ საქმესთან არც უკრაინაში მყოფ პირებს და არც ნაციონალურ მოძრაობას კავშირი არ აქვს.

– საჭიროა, მმართველი ძალის პოლიტიკოსები არ აძლევდნენ ამ პროცესს მათთვის წინასაარჩევნოდ გამოსაყენებელ მიმართულებას წინასწარ. ბუნებრივია, სრულიად გამორიცხულია ყოველგვარი შემხებლობა, იგივე უკრაინაში მყოფი ჩვენი მეგობრების ან ნაციონალური მოძრაობის რაიმე მსგავს პროცესთან. საზოგადოებას შეუძლია ეს სრულიად გამორიცხოს და ჰაერზე განცხადებების იქით ეს მიმართულება ვერ წავა, – განაცხადა ბ-მა თარგამაძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ნონა ცაბაძე

# „ბურჭულაძე მესამე ძალა ვერ გახდა“

## რამაზ საყვარელიძე: „ამის მიზეზი მისი ნაციონალებთან მიწებებაა“

**ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ექსპერტი, ფსიქოლოგი, რამაზ საყვარელიძე აფასებს.**

***– პაატა ბურჭულაძის მოძრაობას ანალიტიკოსები აღიქვამდნენ, როგორც მესამე ძალას, თუმცა მას შემოეცალნენ პარტიის წევრები, მოტივად კი მისი ვაშაძესთან და გირჩებთან გაერთიანება დაასახელეს***

– ვინც დატოვა, ბევრმა მათგანმა სწორედ ეს მოიმიზეზა, ასე რომ, არანაირი უფლება არ გვაქვს, ეჭვი შევიტანოთ ამ მოტივში.

ეს საარჩევნო წელი დაიწყო იმ განწყობილებით, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მიუღებელია ნაციონალური მოძრაობა და ამავე დროს არის კრიტიკული დამოკიდებულება „ქართული ოცნების“ მიმართ, ჩვენ რომ იმედგაცრუებას ვეძახით ბოლო ხანების პოლიტიკურ პუბლიცისტიკაში და ამ ფონზე, ბუნებრივია, იყო მოლოდინი რაღაც მესამეს გამოჩენის. ამ მოლოდინის ფონზე შეიქმნა გირჩი, ვაშაძის პარტია.

მერე უცბად გამოჩნდა სრულიად ახალი სახე, რომელსაც დიდი სიყვარული და ავტორიტეტი აქვს ხალხში და ამ ახალმა ფიგურამ გადაწყვიტა პოლიტიკაში შემოსვლა. მის მხარდამჭერთა რიცხვი დასაწყისში იყო ძალიან შთამბეჭდავი. შთამბეჭდავი იყო სწორედ იმიტომ, რომ ასეთი მოთხოვნილება იდგა ახალი და თან მესამე, ალტერნატიული ძალისა საზოგადოებაში. ეს ახალი და ალტერნატიული უნდა შეენარჩუნებინა პაატა ბურჭულაძეს.

***– როგორ?***

– ის არ უნდა გადახრილიყო არც ნაციონალური და არც მეოცნებე პოლუსისკენ და მაშინ შეძლებდა, გაეგრძელებინა ისეთივე წარმატებით, როგორც დაიწყო.

***– რატომ ვერ მოახერხა შენარჩუნება?***

– არ ვიცი, რატომ ვერ მოახერხა, ეს უკვე კულუარების თემაა. პირველივე გამოსვლებში მას ჰქონდა ისეთი აქცენტები, რაც მიუთითებდა, რომ ნაციონალების მიმართ ის უფრო ლოიალურია. იმდენად მკაფიო იყო ეს აქცენტები, რომ მიხეილ მაჭავარიანმა საჯარო განცხადებაც გააკეთა, თანახმა ვართ მასთან ბლოკის შექმნაზეო, მაგრამ მაშინ ბურჭულაძე ამას არ დათანხმდა. მერე, უკვე მოგვიანებით, გარკვეულმა პროცესებმა, ეტყობა, იქონია გავლენა.

***– და რა იყო ეს გარკვეული პროცესები? ფინანსები?***

– არის ვერსია, რომ ასეთი პროცესები დაკავშირებულია ფინანსურ მდგომარეობასთან.

***– თუ ფინანსები არ ჰქონდა, დიდ პოლიტიკაში რატომ მოდიოდა? ხელისუფლებამ ჩაუკეტა ფინანსური წყაროო და ასეა?***

– გავრცელდა ის ინფორმაციაც, რომ ვისი სპონსორობის იმედიც ჰქონდა, იმათ უღალატეს. საუბარია რუსეთში მომუშავე ბიზნესმენებზე. შესაძლოა, ეს სიმართლეა. საერთოდ თავდადება ყველა საქმეში საჭიროა და მათ შორის პოლიტიკაში. არც ეგ იქნებოდა ძნელი, თანამებრძოლებს ანაზღაურების გარეშე ემუშავათ, რომ არ გახმაურებულიყო ის ინფორმაცია, რომ თავად ბურჭულაძე ისვენებს საკმაოდ ძვირადღირებულ აგარაკებზე უცხოეთში და რაც არ ეძლევათ თანამებრძოლებს, თავის თავს ამის გამოყენების უფლებას აძლევს. გარკვეული ბზარი ამანაც გააჩინა. არა მარტო თანამებრძოლებმა უღალატეს ბურჭულაძეს, მათ რომ ჰკითხოთ, სწორედ ბურჭულაძემ უღალატა მათ.

***– აქედან გამომდინარე რა შანსები აქვს ბურჭულაძეს? ხომ არ არის ეს ივანიშვილის გეგმის ნაწილი, რომ ნაციონალები და დანარჩენი პროდასავლური ძალები სწორედ ბურჭულაძის ახალი გაერთიანებით ჩაანაცვლოს?***

– ის ვერსიაც არის, რომ სააკაშვილს უნდა, რომ ბურჭულაძე, გირჩი და ა. შ. ახალ საყრდენად გაიხადოს, რადგან ძველი სახეები აშკარად წამგებიანია. სიაშიც კი, ზედა ადგილებზე, ძველი სახეები თითქმის აღარ არის. მით უმეტეს, ეს ბლოკი ნაციონალების მიმართ კრიტიკული სულაც არაა.

***– ანუ თქვენ მეორე ვერსიას უფრო იზიარებთ?***

– რომელი ვერსიაა უფრო სწორი, ძნელი სათქმელია. ახალ ბლოკს ივანიშვილისკენ წამოსვლა იდეოლოგიურად გაუჭირდება. ამის ივანიშვილისთვის მიწებება ცოტა ხელოვნურია.

***– ივანიშვილმა გირჩის მიმართ სიმპათიები არ დამალა.***

– კი მაგრამ, დღეს ეს სხვა ერთობაა, გირჩი ხომ ვერ ამოიკვეთება ამ პოლიტიკური ბლოკიდან. ივანიშვილს რომც მოსწონდეს გირჩი, მან ან მთელი ჯგუფი უნდა მიიღოს, ყველასთან ითანამშრომლოს, ან არავისთან. ალბათ ეს გაერთიანება უფრო ნაციონალებისკენ გადაიხრება. დღეს სააკაშვილი ახალ სახეებს ეძებს, ის ძალიან ელასტიკური პოლიტიკოსია და სადაც ნახავს, რომ ვიღაცამ არ გაუმართლა, ადვილად ცვლის კადრებს. ეს არაერთხელ გაუკეთებია.

***– ამჟამად საკუთარი მეუღლე შემოიყვანა პოლიტიკური ბრძოლის არენაზე. რა შანსები აქვს სანდრა რულოვსს?***

– ალბათ რულოვსის გამოყვანა იმის მცდელობაა, რომ მოსინჯოს ეს ვარიანტი, რადგან თუკი სანდრა რულოვსმა მოახერხა ხმების აღება, ისინი ვარაუდობენ, რომ სხვა ნაციონალი წამყვანი ფიგურებიც ჩაერთვებიან და იქმნება იმის პერსპექტივა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ გააკონტროლოს მთელი სამეგრელოს რეგიონი.

ანალოგიური პერსპექტივა ნაციონალურ მოძრაობას აქვს აჭარაშიც. იქ ბოლო ხანებში „ქართული ოცნების“ პოზიციები დასუსტდა და შეიძლება სწორედ ნაციონალურმა მოძრაობამ მოიკიდოს იქ ფეხი. თუ ეს ვარიანტები მოხდა, მაშინ შეიძლება რეგიონალური ცენტრები და წერტილები შექმნან და ამ რეგიონების კონტროლი გახდეს ნაციონალური მოძრაობის სტრატეგიული მიმართულება. ხოლო ამ პლაცდარმზე გამაგრებით, შექმნას საფუძველი მომავალ არჩევნებში უფრო ძლიერი ბრძოლის ფრონტის გახსნისა. ეს ვერსია მე უფრო დამაჯერებლად მიმაჩნია.



***– ბოლო კვლევის მიხედვით, რომელიც გერმანულმა კომპანიამ რუსთავი ორის დაკვეთით ჩაატარა, ოცნებას 25,8% აქვს, ხოლო ნაციონალებს – 25,5%. ეს არის ტენდენციური კვლევა თუ რეალური სურათი?***

– მე ბოლო ხანების სხვა გამოკვლევებიც მაქვს, სადაც „ქართული ოცნება“ უსწრებს დაახლოებით ორჯერ ნაციონალურ მოძრაობას. ეს უფრო რეალური სურათია, რადგან ყველა გამოკვლევაში ნაციონალურ მოძრაობას 15%-მდე აქვს. ამის იქით ნაციონალების რეიტინგი ვერ გაიზრდება.

***– ბურჭულაძის თემას მივუბრუნდეთ. შეცდომა იყო მისი პოლიტიკაში შემოსვლა?***

– მისთვის შეცდომა იყო თუ არა, ვერ გეტყვით, ქართული პოლიტიკისთვის ცუდი სამსახური გაწია, იმიტომ, რომ ყველა ანალიტიკოსი ველოდით მესამე ალტერნატივის ჩამოყალიბებას, რადგან მაგის კარგი პირობები იყო და ასეთი დისკრედიტაცია მოახდინა ამ მესამე ალტერნატივისა, როცა ფაქტიურად მიეწება ნაციონალურ მოძრაობას. ბურჭულაძის ამ ნაბიჯმა გაზარდა იმის შანსი, რომ ისევ ორპარტიული პარლამენტი გვყავდეს.

***– ანუ ამომრჩეველმა არჩევანი უნდა გააკეთოს „ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის?***

– ჯერ კიდევ თვენახევარია დარჩენილი და იმედი ვიქონიოთ, რომ ამ თვენახევარში პასიურები ვინც იყვნენ, გააქტიურდებიან, რადგან პოლიტიკური პარტიები ხშირად პასიურები არიან ფინანსური მოსაზრებების გამო და თუ მათ არ ჰყოფნით დასახარჯი სახსრები, ეს უნდა დაიხარჯოს ბოლო დღეებში. იმედია, ეს გააქტიურება იქნება.

***– სექტემბერი პოლიტიკურად ცხელი იქნება?***

– აქტიური იქნება. რამდენად გააცხელებს ეს აქტიურობა სიტუაციას, არ ვიცი. თუმცა რამდენადაც უნდა გააქტიურდნენ, დიდი ნახტომის მოსწრება თვენახევარში ძნელია. სხვა პარტიები ბარიერის გადალახვის წინაშე დგანან. ისინი თუ რამდენიმე კაცს შეიყვანენ პარლამენტში, ეს რეალურ სურათს ვერ შეცვლის. ასე რომ, ბურჭულაძის მხრიდან ამ მესამე ძალის არსებობის ჩაშლა იყო ძალიან წამგებიანი ქართული პოლიტიკის განვითარებისთვის.

# გიორგი კახიანი: „უბლოკო სტატუსი ქვეყნის ღალატია“

## გიორგი ახვლედიანი: „ხელისუფლება პანიკურ შიშშია“



პარლამენტის საპროცედური საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანი მიიჩნევს, რომ საქართველოსთვის უბლოკო სტატუსის მინიჭება ანტისახელმწიფოებრივი და მოღალატეობრივი პოზიციაა.

ასე ეხმაურება გიორგი კახიანი დემოკრატიული მოძრაობის ინიციატივას, რომელიც ქვეყნისთვის უბლოკო სტატუსის მინიჭებას, აღნიშნულისთვის საჭირო ხელმოწერების შეგროვებისთვის კი პარლამენტისგან შესაბამის ნებართვას ითხოვს.

– მე ვასრულებ ჩემს მოვალეობას და ვიწვევ სხდომებს, თუმცა მეც და ჩემს გუნდსაც მიგვაჩნია, რომ ეს არის მოღალატეობრივი, ანტისახელმწიფოებრივი პოზიცია. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში ეს არის წინასაარჩევნოდ პოლიტიკური სპეკულაცია და ამ ბლოკის პოლიტიკური ტრიუკი. შესაძლოა, პარლამენტში 3-4 წარმომადგენელი იყოს, ვინც ამ ინიციატივას მხარს დაუჭერს, – განაცხადა კახიანმა.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტს უბლოკო სტატუსის საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაზე გუშინ უნდა ემსჯელა, მაგრამ სხდომა ქვორუმის უქონლობის გამო ჩაიშალა.

სხდომაზე იმ საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაში გატარების საკითხი უნდა განეხილათ, რომლის მიზანს საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის ხელმოწერის შეგროვება წარმოადგენს. თავად საკონსტიტუციო ინიციატივა საქართველოს მიერ უბლოკო სტატუსის გამოცხადებას ითვალისწინებს.

საინიციატივო ჯგუფი 10 წევრისგან შედგება, მათ შორის არიან ნინო ბურჯანაძე, ბაკურ ბაკურაძე, გიორგი ახვლედიანი, დიმიტრი ლორთქიფანიძე, გრიგოლ ბარამიძე და სხვები.

საინიციატივო ჯგუფს მზად აქვს კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტი, რომლის მიხედვით, საქართველოს კონსტიტუციისთვის შემდეგი პუნქტის დამატებას ითხოვს:

„ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და დაცვის, თავდაცვისა და უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, საქართველო არ გაწევრიანდება რომელიმე საერთაშორისო სამხედრო ბლოკში, ან ალიანსში. დაუშვებელია საქართველოს ტერიტორიაზე რომელიმე სამხედრო ბლოკის, ალიანსის, ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს სამხედრო შენაერთების განთავსება. უბლოკო სტატუსი მოქმედებს 1991 წლის მდგომარეობით აღიარებულ საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებში“.

დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ლიდერმა გიორგი ახვლედიანმა სხდომის ჩაშლას ასეთი კომენტარი გაუკეთა:

– მეორეჯერ ჩავარდა კომიტეტი ქვორუმის უქონლობის გამო. ფაქტია და თავმჯდომარეც აღარ მალავს, რომ ამას პოლიტიკური ქვეტექსტი აქვს. დეპუტატები, რომლებიც არიან კომიტეტის წევრები, პრაქტიკულად პანიკურ შიშში არიან იმ იდეასთან დაკავშირებით, რასაც უბლოკო სტატუსი ჰქვია, რადგან ეს საკითხი საზოგადოებაში ძალიან აქტუალურია. გაუგებარი და არაადეკვატური მექანიზმებით ცდილობენ ხელი შეუშალონ ხელმოწერების შეგროვებას. ისინი ვერ იაზრებენ, რომ ასეთი აქტუალიზაციით, კიდევ უფრო მეტ პოპულარიზაციას უწევენ თემას, რომლისაც ასე ეშინიათ.



# ბიზნესმენ მინდია გულუაზე თავდასხმა განხორციელდა

ბიზნესმენ მინდია გულუაზე თავდასხმა განხორციელდა. რუსეთის ქალაქ კრასნოდარში უცნობი პირი ცნობილ ქართველ ბიზნესმენს, მინდია გულუას თავს დაესხა. ადგილობრივი მედიის ცნობით, შეიარაღებულმა მამაკაცმა ცეცხლსასროლი იარაღით ქართველი ბიზნესმენი დაჭრა.

სამართალდამცავი ორგანოების ცნობით, შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე კილომეტრში თავდამსხმელმა საკუთარი ავტომობილი დაწვა და სხვა მანქანაში გადაჯდა, რის შემდეგაც ადგილიდან მიიმალა.

გულუა ამჟამად საავადმყოფოშია მოთავსებული. ექიმების შეფასებით, მისი მდგომარეობა მძიმეა. ქართველ ბიზნესმენს ჭრილობა მუცლის არეში აქვს მიღებული. მედიის ცნობით, შემთხვევის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობენ. მიმდინარეობს გამოძიება.

რუსული პრესის ცნობით, 47 წლის მინდია გულუა კრასნოდარში არყის ქარხანას ფლობს.

გულუაზე თავდასხმის მცდელობა 2009 წელსაც განხორციელდა, მაშინ ბიზნესმენის ავტომობილში აფეთქება მოხდა.

**ინტერპრესნიუსი**

# „საქართველოში აღკვეთილ ტერაქტში „უკრაინული კვალი“ შესაძლოა იყოს დეზინფორმაცია“



– „უკრაინული კვალი“ საქართველოში აღკვეთილ ტერაქტში შესაძლოა იყოს, პრორუსული ჯგუფების მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია.

ასეთ მოსაზრებას „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში უკრაინელი პოლიტოლოგი დმიტრი შენგეროვსკი გამოთქვამს.

– უკრაინაში ამ სიტუაციაზე კომენტარები ჯერ არ გაკეთებულა და არც მედიაში დაიწერა რაიმე ინფორმაცია.

მე ვიხრები იმისკენ, რომ „უკრაინული კვალი“ შესაძლოა იყოს დეზინფორმაცია, რომელიც საქართველოში პრორუსულმა ჯგუფებმა უკრაინის დისკრედიტაციის მიზნით გაავრცელეს. ანალოგიური სიტუაცია იყო, როცა მოსკოვმა ყირიმში „ტერორისტებზე“ განაცხადა, რაც არც ოფიციალურ კიევს და არც გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრებს არ დაუდასტურებიათ. მსგავსი ინფორმაციების „შემოგდება“ ტერაქტების შესახებ ხდებოდა ყაზახეთშიც.

წინასაარჩევნოდ კრემლი ცდილობს მეზობელ ქვეყნებში სიტუაცია მაქსიმალურად არიოს და ამით შიდაპოლიტიკური დივიდენდები მიიღოს, – განაცხადა პოლიტოლოგმა.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# სანდრა რულოვსი: „მე ვარ გარანტი, რომ ნაციონალების ძალადობა აღარ განმეორდება“

## „არ არსებობს გეგმები, როგორ უნდა ჩამოვიდეს მიშა საქართველოში“



– არ არსებობს გეგმები, როგორ უნდა ჩამოვიდეს მიშა საქართველოში, საიდან, რა ფორმით, ეს ყველაფერი დამოკიდებულია ხალხის არჩევანზე.

ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პირველმა ლედიმ, ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ნაციონალური მოძრაობიდან სანდრა რულოვსმა პორტალ „გურიის მოამბის“ ინტერნეტ გადაცემა „მთავარ თემაში“ განაცხადა, სადაც მან ასევე ისაუბრა ქველმოქმედებიდან პოლიტიკაში გადასვლის მიზეზებზე, წარსულ შეცდომებსა და განახლებული პარტიის სამოქმედო გეგმაზე, მათ შორის იმ პრიორიტეტებზეც, რაზეც გამარჯვების შემთხვევაში მუშაობას დაიწყებენ.

სანდრა ამბობს, რომ პოლიტიკაში შესვლა მისი პირადი გადაწყვეტილება იყო, რაშიც მხარი ოჯახმაც დაუჭირა. ძირითად მიზეზად კი 2012 წლიდან ქვეყნის უკუსვლასა და რეგრესს ასახელებს.

– პოლიტიკაში შესვლა ჩემი პირადი გადაწყვეტილებაა, იმიტომ, რომ სხვანაირად არ გამოდიოდა. ნამდვილად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს კურსი არასწორად მიდის. რაც ჩვენ ვიმუშავეთ ეს ათი წელიწადი, ეს არ უნდა იყოს დაკარგული და წყალში გადაყრილი. ამიტომ მინდა, ჩემს გუნდთან ერთად ვიბრძოლო, რომ საგარეო კურსი შევცვალოთ ქვეყანაში, – აცხადებს ქ-ნი რულოვსი.

ის ამბობს, რომ მათ ჰქონდათ მოლოდინი 2012 წელს, რომ ეს ხელისუფლება გააგრძელებდა იმ კურსს, რაც ქვეყანაში იყო – განვითარების, დასაქმების, ევროატლანტიკური ინტეგრაციის და ასე შემდეგ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

– იმედები გაგვიცრუვდა. ხალხი დარჩა მოტყუებული. თვითონაც გვეუბნებიან შეხვედრების დროს, რომ შეცდნენ 2012 წელს. მათ ჩვენ მივეცით თავისუფალი მოედანი, რომ ქვეყანაში კარგად დაეწყოთ და გაეკეთებინათ საქმე. მიშა საქართველოში არ იყო, ძალიან ბევრი ადამიანი სამსახურიდან გაუშვეს, ვინც უშლიდა, არ ვიცი, უშლიდა თუ არა და თავიანთი გუნდით, რომელიც, სამწუხაროდ, პროფესიონალიზმით არ გამოირჩეოდა, გააგრძელეს საქმე. ნაცვლად იმისა, განვითარებულიყო ან შენარჩუნებულიყო მაინც რეფორმების გზა, მოხდა სტაგნაცია, რეგრესი და უკუსვლა.

– ვისაუბროთ თუნდაც სტაგნაციაზე, რეგრესსა და ხელისუფლების შეცვლის აუცილებლობაზე, ეს ნიშნავს იმას, რომ ამომრჩევლები ისევ ნაციონალურ მოძრაობას დაუჭერენ მხარს? არჩევანი საკმაოდ მრავალფეროვანია, პოლიტიკური პარტიების მხრივ. პოლიტოლოგების შეფასებებს თუ დავეყრდნობით, თქვენი პარტია რეიტინგის მხრივ არ არის მზარდი.

– მე მგონი, ნაციონალების რეიტინგი იზრდება, რადგან ჩვენ გვაქვს რეალური დაპირებები, რაც ჩვენს ბროშურებში წერია, ეს არ არის ციფრები ჰაერიდან. ამაზე არის ზუსტი კალკულაცია გაკეთებული. ვიცით, რომ შეგვიძლია, პენსია 50 ლარით გავზარდოთ. შეგვიძლია ახალი სამუშაო ადგილები შევქმნათ, სტაბილური ხელფასები პედაგოგებისთვის, სოციალური დახმარების აღდგენა იმ ადამიანებისთვის, ვისაც უსამართლოდ მოუხსნეს. ამის რეალური გარანტია არის, თუ ჩვენი ამომრჩეველი გამოგვიხატავს ნდობას. დაპირებები სრულდებოდა ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს. კეთდებოდა ბევრი რამ და ვითარდებოდა.

– საქმე კეთდებოდა, ქვეყანა ვითარდებოდა, მაგრამ იყო ყველაზე მთავარი შეცდომები – ადამიანის უფლებების დაცვა, ძალადობა, რის გამოც, 2012 წელს მოსახლეობამ უარი თქვა ნაციონალების მმართველობაზე.

– ერთ-ერთი შეცდომა იყო ძალადობა ჩვენი ხელისუფლების. ახლა შეგვიძლია გვენდოს ხალხი, იმის გამოც, რომ მე შევედი პოლიტიკაში. ჩემთვისაც ეს იყო პირობა ამ გუნდთან ერთად, პარტიის ლიდერთან ერთად, რომელიც ჩემი მეუღლეა. ბევრი მისაუბრია, როგორ შეიძლება ეს აღარ განმეორდეს, რა გარანტიები გვექნება, რა იქნება სხვანაირად. ეს ხალხი, რომელიც იყო თანამდებობაზე და დისკრედიტირებულია, აღარ დაბრუნდეს. მე მჯერა ამის. ჩვენს ხელშია ახლა ეს ყველაფერი.

ჩვენ, ახალი სახეები, ძალიან ღირსეული კანდიდატები ვართ პარტიის სიაში. მე ვამაყობ, რომ ჩემი სახელი და გვარიც არის ამ სიაში. მე მგონი, ძალიან ბევრ ადამიანს გაუხარდა, რომ მე ჩავერთე პოლიტიკაში. იმიტომ, რომ მიცნობენ როგორც გულწრფელ, ალალ ადამიანს, რომელსაც გული სტკივა ამ ქვეყანაზე, ვისაც ბევრი ქველმოქმედება აქვს გაკეთებული, მონაწილეობა აქვს მიღებული ჯანდაცვის რეფორმებში. მე ნამდვილად საქართველოს სიყვარულით ვაკეთებ ამას. არც ბიზნესი მინდა, არც გავლენის ბოროტად გამოყენება.

***– ბოლო დროს ძალიან აქტიურად იწერება სხვადასხვა მედიასაშუალებებში თქვენი წარსული საქმიანობის შესახებ. არის ბრალდებები, მათ შორის საკმაოდ მძიმეც.***

– დაიწეროს, მერე რა. მე მგონი, ხალხი მიცნობს. 20 წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრი ვიმოძრავე ამ ქვეყანაში. ძალიან რთული იყო ჩემთვის პოლიტიკაში გადასვლა, იციან, რომ არ მიზიდავს ეს ყველაფერი, გაცილებით კომფორტულად ვგრძნობ თავს იმ საქმეში, რასაც ვემსახურებოდი, ადამიანებს ვეხმარებოდი, პოლიტიკა არის სხვა, აქ უნდა გააკეთო არჩევანი, მაგრამ ჩემი არჩევანი ყოველთვის იქნება გაჭირვებული ადამიანების დახმარება. ვესაუბრე ბევრ ადამიანს, პარტიის გარეთაც, ჩემს მშობლებს, შვილებს. მათ მე მხარი დამიჭირეს ამ გადაწყვეტილებაში.

***– თქვენი მეუღლის რეაქცია როგორი იყო თქვენს პოლიტიკურ არჩევანზე?***

– მიშასთვის მოულოდნელი არ იყო ჩემი გადაწყვეტილება, ამაზე დიდი ხანი ვსაუბრობდით. მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც მე ვთქვი. დამოუკიდებლად მივიღე გადაწყვეტილება.

***– და რატომ სამეგრელო?***

– სამეგრელო ჩემთვის ძალიან თბილი კუთხეა, ხშირად დავდიოდი იქ, მეგრული სიმღერაც ვიცი, ცოტა ენაც. არც ერთ რეგიონში არ მიჭირს საერთო ენის გამონახვა, მაგრამ სამეგრელო აფხაზეთთანაც ახლოს არის. ძალიან ბევრი ხალხი ცხოვრობს ქალაქებშიც და სოფლებშიც, მეც ზუსტად 22 სოფელი მაბარია ზუგდიდში.

***– „ოცნების“ შანსებს როგორ შეაფასებდით? ისინი სწორედ ამ ოთხწლიანი მმართველობის შედეგებზე დაყრდნობით არიან დარწმუნებული, რომ ისევ უმრავლესობით მოვლენ და უალტერნატივოები არიან.***

– ხალხი უყურებს არჩევნებს, როგორც ქულის დაწერას, როგორ იმუშავეს ამ ოთხი წლის განმავლობაში. მე არა მგონია, რომ მაღალი ქულა დაემსახურებინათ. ამიტომ, არა მგონია, რომ ისევ უმრავლესობაში მოვიდნენ. თუმცა, ერთ-ერთი სერიოზული კანდიდატია.

ბევრი ადამიანისათვის ეს არჩევანი საკმაოდ რთულია. ჩვენ საქმე ვიცით, მაგრამ იყო უარყოფითი მხარეები ჩვენი რეჟიმის. ამაზე ვმუშაობთ და მე ვარ ამის გარანტორი, რომ ეს არ განმეორდება. მეორე მხრივ, გულდაწყვეტილები არიან იმაზე, რაც მოხდა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. ამიტომ, ბევრმა ჯერ არ იცის, ვის დაუჭიროს მხარი. გარკვეულ პარტიებსაც ექნება მხარდაჭერა, თუმცა დიდი არა.

***– ბოლოს, მინდა გკითხოთ პარტიის ლიდერის საქართველოში მოსალოდნელ ჩამოსვლაზე 8 ოქტომბრის შემდეგ, რასაც ხშირად თვითონ ბატონი მიხეილი აანონსებს. ასე დარწმუნებული ხართ გამარჯვებაში?***

– არ არსებობს გეგმები, როგორ უნდა ჩამოვიდეს მიშა საქართველოში, საიდან, რა ფორმით, ეს ყველაფერი დამოკიდებულია ხალხის არჩევანზე. თუ ჩვენ ვიქნებით გამარჯვებული გუნდი, ის ან ჩამოვა საქართველოში, ან ჩაერთვება უკრაინიდან. იქაც ძალიან დიდი პოსტი უკავია და აქვს გავლენა კიევის მთავრობაზე.

მე მგონი, იქაც არანაკლებად ბრძოლა არის საჭირო დამოუკიდებლობისა და ქვეყნის განვითარებისათვის. კიდევ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც იქ ჯერ არც დაწყებულა. ჩვენთან ამის შედეგები უკვე ვაჩვენეთ.

**ნიუპოსტი**

# ვახტანგ მაისაია: „ეს დივერსია ნაცმოძრაობის ინტერესში შეიძლებოდა ყოფილიყო“

გულიკო ბალაძე

**სუსმა ტერაქტის აღკვეთის შესახებ გამოაცხადა და 7 პირიც დააკავა. საით მიდის კვალი? რა ვერსიები შეიძლება განიხილებოდეს? – ამ თემაზე „ახალ თაობას“ ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია ესაუბრა.**

***– ბატონო ვახტანგ, რამდენად მოსალოდნელი იყო თქვენთვის საქართველოში ტერაქტის მოწყობის მცდელობა?***

– როგორც ამ დარგის ექსპერტი, ასეთ პროცესს მოველოდი. შესაბამისად, არაერთხელ აღვნიშნე. ისიც ვთქვი, რომ შეიძლება სამხედრო გადატრიალების მცდელობაც იყოს-მეთქი. ეს ტერაქტი ამ გადატრიალების პრელუდია შეიძლება ყოფილიყო. ბევრი გადატრიალება დაწყებულა სწორედ ტერაქტების დაწყების მეშვეობით.

***– ანუ თუკი ტერაქტი მოხდებოდა, გადატრიალების საწყისი როგორ შეიძლება გამხდარიყო?***

– ბევრი სხვა ვარიანტი შეიძლებოდა. თეორიულად გამორიცხული არაფერია. ტერაქტი იგეგმებოდა კონკრეტულ სტრატეგიულ-კომუნიკაციურ ობიექტზე, აფეთქება სტრატეგიულ-კომუნიკაციურ ობიექტზე დივერსიის ტოლფასია. ტერაქტი აღარ იქნებოდა, დივერსია იქნებოდა და პოლიტიკური ტერორი.

***– პოლიტიკური ტერორი რატომ?***

– როგორც ჩანს, აქ განზრახული იყო პოლიტიკური ტიპის ტერორის განხორციელება. პოლიტიკური ტერორი არის პოლიტიკური ძალადობა. ნებისმიერ ტერორისტულ აქტს გააჩნია პოლიტიკური მიზნები. პოლიტიკური ტერორის მთავარი იდეაა სახელმწიფო საფუძვლების შერყევა და გარკვეულწილად, ძალადობრივი ქმედებებით, გარკვეული პოლიტიკური სისტემის შიგნით პოლიტიკური გადატრიალებების ხელშეწყობა.

***– რა შეიძლებოდა ყოფილიყო დაგეგმილი დივერსიის მიზანი?***

– მთავარია, ვინ არის შემკვეთი. ვინ დგას იმ ჯგუფის უკან, რომელიც ახლა გამოვლინდა.

***– იმ ცნობებით, რაც ამ დროისათვის ჩვენთვის ცნობილია, ვინ შეიძლება იდგეს დივერსიული ჯგუფის უკან? გაიჟღერა უკრაინის თემამ***

– გაიჟღერა, მაგრამ ის, რომ ორი ადამიანი უკრაინაში დადიოდა და იქ ჩაჰქონდა ტანსაცმელი და სხვა რაღაცები, არაფრისმთქმელი მომენტია.

***– კაცმა რომ თქვას, ტერაქტს აწყობდნენ და თან ფეისბუქზე მინიშნებები გაუშვეს?***

– უშიშროება 5 თვის განმავლობაში ამ ჯგუფის მუშაობას აკვირდებოდა და სწავლობდა. მთავარი მომენტია, უშიშროებამ საიდან გაიგო ამ გეგმის არსებობის შესახებ, ანუ ვინ მიაწოდა ინფორმაცია. საიდან მოიპოვა სუსმა ეს ინფორმაცია და როგორ მოხდა შემდეგ ფარული მიყურადება, თვალთვალი და მათი ოპერატიული დამუშავება. მეორე – მათ უკვე ექნებათ მონახაზები, სად მიდის კვალი. ეს უეჭველია, რადგან, ფაქტობრივად, მთელი ჯგუფია გამოვლენილი.

***– მერე რა, რომ ჯგუფია გამოვლენილი?***



– ეს არის უნიკალური შემთხვევა, როდესაც მონაწილე-ეჭვმიტანილების 100% დაკავებულია. როგორც ამბობენ, დაკავებულები არიან მათი თანამზრახველებიც, რომლებიც ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდნენ. ბუნებრივია, ტერაქტის მომწყობებს დახმარებას უწევდნენ. მესამე ფაქტორია ის მტკიცებულებები – იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების რაოდენობა, ასევე მათი ხარისხობრივი მაჩვენებელი. რა ტიპის ასაფეთქებლებზეც იყო საუბარი, მიუთითებს იმას, რომ კარგად მომზადებული ჯგუფი უნდა ყოფილიყო შეიარაღების ტიპების მიხედვით. ამგვარი ტიპის შეიარაღება ყველა სახელმწიფოს აქვს ძალიან მკაცრი და სპეციალური აღრიცხვის ფორმატში. ასეთ შეიარაღებას შავ ბაზარზე ვერ იყიდი.

***– ანუ კვალი შეიძლება მიდიოდეს რომელიმე სახელმწიფომდე?***

– არ ვიცი, სავსებით შესაძლებელია. საუბარია დივერსიაზე. როგორც სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებში გასული ფრაგმენტებიდან გავიგე, სუსმა აღმოაჩინა წინასწარ გამზადებული სამალავი. ჯგუფს დაევალა კონკრეტული სამალავის დეკონსერვაცია და მისი გამოყენება დასახული მიზნის მისაღწევად. საუბარია იმაზე, რომ იქ სამალავი იყო.

***– სამალავების თემა ძალიან მნიშვნელოვანია.***

– თუ ჩვენ ვიტყვით, რომ სამალავები სამეგრელოში, კახეთსა და თბილისში აღმოაჩინეს და ვინ აკეთებდა სამალავებს, ვინ იყენებდა მას, შესაძლებელია გამოძიებამ ამ მიმართულებითაც იმუშაოს. როგორც პროკურორმა განაცხადა, ამ ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი დაუკავშირდა ვიღაც უცნობ პიროვნებას და დაავალა აქ სამალავის მოძიება და გამოყენება. როდესაც ჯგუფი მივიდა სამალავთან, მაშინ აიყვანეს, ცხელ კვალზე ანუ ქმედების მომენტში იქნა დაფიქსირებული. ე.ი. სამალავი ადრე არსებობდა.

***– ჩვენს სახელმწიფოს აქვს ისეთი იარაღი, რომელიც სამალავში აღმოაჩინეს?***

– იარაღი, რომელიც სამალავში აღმოაჩინეს, შესაძლებელია, ჩვენს სახელმწიფოსაც ჰქონდეს. მით უმეტეს, რომ ახალი დეტალი გამოჩნდა – ეს იარაღი დიდი ხნის განმავლობაში იყო სამალავში. ამდენად, სამალავების თემა მართლაც მნიშვნელოვანია.

***– ითქვა, რომ ერთ-ერთმა დაკავებულმა აღიარა დანაშაული.***

– აღიარა, მაგრამ ისიც ითქვა, რომ ნაცემია, დანარჩენები ბრალს არ აღიარებენ. იმედია, გამოძიება დაადგენს, რა ხდებოდა რეალურად.

***– ჩვენ მომსწრე ვართ სააკაშვილის დადგმული სპექტაკლებისა ტერორიზმის კუთხით. ინფორმაციის ნამდვილობის თვალსაზრისით, დღეს ნდობის მომენტი რამდენად დიდია?***

– თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ, სამწუხაროდ, კონტრდაზვერვის დეპარტამენტში ისევ ის ხალხი მუშაობს, რომლებიც ამგვარი სისულელეებით იყო დაკავებული, ინსინუაციები სავსებით გასაგებია. ეს რომ ყოფილიყო ანტიტერორისტული დეპარტამენტი, მე ნდობის ხარისხი მეტი მექნებოდა, ვიდრე იმ დეპარტამენტის მიმართ, რომლის თანამშრომელთა სოლიდური რაოდენობა ჯერ კიდევ დოქსოპულოების სუბიექტებისაგან შედგება. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საგამოძიებო სამსახურის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ყოფილი ჯაშუშობის გამყალბებელი არის დღესაც.

***– ნაციონალების წარმომადგენელმა, თავის დროზე იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილის მოადგილემ – კახიძემ, განაცხადა, ჩვენ შემდეგ უშიშროების სამსახური ჩამოიშალა და თავის ფუნქციას ვერ ასრულებსო. რა შეგიძლიათ თქვათ ამგვარ განცხადებაზე?***

– ეგ ვიღაც კახიძე იყო ჯალათი და ჯალათი ადეიშვილის მოადგილე. მას მე სხვა ეპითეტით ვერ მოვიხსენიებ. მინდა ამ ჯალათს ვკითხო, მისი ჯალათობის დროს უშიშროების სამსახური როგორი იყო? მის დროს ეჟოვის სისტემა არსებობდა, რომელიც ყასაბივით ერთიანად ყველას ერთად ხორცის საკეპში უშვებდა. ეჟოვის სისტემა კარგი იყო?

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# „ხვალ, 25 აგვისტოს, აჭარის დაბრუნებას აღვნიშნავთ“

## ზვიად ჩიტიშვილი: „მალე აფხაზებთან და ოსებთან ერთად ვახტანგურად დავლევთ შერიგების სადღეგრძელოს“

**რატომ თქვა უარი საქართველოს ხელისუფლებამ მოსკოვში ქართული ბაზრობის გახსნაზე, როგორ უნდა დავიცვათ საქართველოს მოსახლეობა, როგორ უყურებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას? – ამის შესახებ „ახალ თაობასთან" პარტია „ჩვენი სამშობლოს" ლიდერი ზვიად ჩიტიშვილი საუბრობს.**

**ზვიად ჩიტიშვილი:**

– საქართველო არის მართლმადიდებლური ქვეყანა, სადაც მართლმადიდებლობა დაცული არ არის. თემქაზე შენდება ეკლესია, მისთვის რუსეთში დავამზადებინეთ ზარები, ეს ზარები საბაჟოზე დაგვიპატიმრეს და სანამ ფული არ გადავიხადეთ, არ დაგვიბრუნეს. ზარების გარდა, მამაოები და ხატებიც დააპატიმრეს. ამას ვერანაირ ახსნას ვერ ვუძებნი. ჩემთვის წარმოუდგენელია, ამერიკულ ტანკებს ზარზეიმით ხვდებოდე, ხოლო მართლმადიდებლურ ხატებს აპატიმრებდე.

სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში კიდევ ბევრი რამეა გაუგებარი. ხელისუფლება არაფერს აკეთებს საკუთარი მოსახლეობის დასაცავად. ჩვენი მოქალაქეები უცხოელი ინვესტორების საწარმოებში ფაქტიურად მონებივით მუშაობენ. მათი უფლებები აუცილებლად უნდა დავიცვათ.

ქვეყანა, რომელსაც უდიდესი ეკონომიკური პოტენციალი აქვს, ფაქტიურად სულს ღაფავს. ჩვენ არავის არ ვპირდებით სასწაულის მოხდენას, მაგრამ ვთვლით, რომ მონდომების შემთხვევაში, საქართველოში ცხოვრება ძალიან მალე საამაყო იქნება. ხალხს ღირსეული ხელფასი და პენსია ექნება.

***– პენსიის გაზრდას მოსახლეობას თითქმის ყველა პარტია ჰპირდება, მაგრამ დაპირებას არავინ ასრულებს.***

– პარტიები ხან 10 ლარის დამატებას ჰპირდებიან ხალხს, ხან – ოცის. ჩვენ ვთვლით, რომ თუ ბიუროკრატიული ხარჯები შემცირდება, პენსიის გაზრდა შესაძლებელი იქნება. მე მინდა ჩვენს მოსახლეობას ვუთხრა, თუ როგორ ვუყურებთ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკის განვითარებას. ჩვენი ეკონომიკური პროგრამა შემდეგი პუნქტებისგან შედგება:

1. ჩვენი სამშობლოს ეკონომიკა ორიენტირებული უნდა იყოს ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის და სატრანზიტო ფუნქციის ეფექტურ გამოყენებაზე.

2. სასარგებლო წიაღისეული, ენერგორესურსები, მინერალური წყლები, „ბორჯომი“, მანგანუმი, ჰიდროელექტროსადგურები, ქვანახშირისა და ნავთობის საბადოები, ხე-ტყე, მდინარეები, ტბები და საზღვრისპირა მიწის ზოლი მთლიანად უნდა გადავიდეს სახელმწიფო საკუთრებაში!

3. მიგვაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტში, პრეზიდენტისა და მთავრობის საპარლამენტო მდივანის მსგავსად, საქართველოს საპატრიარქოს მდივანიც უნდა იჯდეს! პარლამენტში იხილება განათლების, მედიცინის საკითხები, მრავალშვილიანობის პრობლემები, სადაც პატრიარქის სიტყვა და აზრი უგულებელყოფილია. ეს კი დაუშვებელია! ჩვენ ყველანი დროებით ვართ ამ ქვეყანაზე... ფული დღეს არის, ხვალ აღარ იქნება. მთავარია ჩვენი რწმენა, ჩვენი ქართველობა, რომელიც წინაპრებმა სისხლითა და ოფლით მოგვიტანეს და აი, ამ საკითხების განხილვას საპატრიარქოს მდივანი აუცილებლად უნდა ესწრებოდეს!

4. სახელმწიფოს მთელი ყურადღება მიმართული უნდა იყოს პროფესიონალებისა და გამოცდილი კადრებისკენ! მე, მაგალითად, როგორც წარმატებული ბიზნესმენი, გამოცდილ კადრებს ვეძებ! შესაძლოა, ადამიანს კემბრიჯისა და პრისტონის უნივერსიტეტები ჰქონდეს დამთავრებული, მაგრამ ღილაკს არასწორად დააჭიროს თითი და ქარხანა აგიფეთქოს. დილეტანტიზმი და არაპროფესიონალიზმი სახელმწიფოს კეთილდღეობისა და ბიზნესის მტერია.

5. აუცილებლად უნდა შევისწავლოთ სააკაშვილის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის გადაცემული პასპორტების საკითხი. მტარვალმა სააკაშვილმა ჩვენი პასპორტები მისცა და საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა ისეთ ადამიანებსაც, რომლებსაც არად უღირთ ჩვენი ქვეყნის ისტორია, ტრადიციები და ჩვენი მშობლიური ენა. უცხოეთში დაბადებულ ქართველებს და მათ შორის ევროპაში გადახვეწილ 700 ათას თანამემამულეს, საქართველოს პასპორტები აუცილებლად უნდა მივცეთ. მაგრამ რად უნდა ქართული პასპორტი იმ ხალხს, ვისაც ჩვენი ქვეყნის ბედი ფეხზე ჰკიდია? როდესაც მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, მოქალაქეობები გასცეს გაურკვეველ პირებზე, რომელთა უმეტესობაც ეთნიკურად არაქართული წარმომავლობისაა.

6. საქართველოს დევნილმა მოსახლეობამ უნდა მიიღოს ორმაგი მოქალაქეობა, რაც იქნება იმის გარანტია, რომ აფხაზეთსა და ცხინვალში ისინი თავისუფლად დაბრუნდებიან და დაფუძნდებიან. რუსეთი ამისთვის მზად არის და ადეკვატური ქართული პოლიტიკის შემთხვევაში, მეგობრის ხელს გამოგვიწვდის. ორმაგი მოქალაქეობა ეკონომიკურადაც დიდ შვებას მისცემს ჩვენს ხალხს.

7. ტერიტორიული კონფლიქტის დარეგულირების ერთ-ერთი საუკეთესო გზა რეგიონების ეკონომიკურად დაკავშირებაა. რისი საუკეთესო მაგალითი იყო ერგნეთის ბაზარი. ვთვლი, რომ იგი დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს, დასაქმდეს ადგილობრივი მოსახლეობა. როგორც ვიცი, ოსური მხარე მზად არის ბაზრის აღსადგენად. ჯერი ჩვენს ხელისუფლებაზეა, რომელიც, სამწუხაროდ, ყოველთვის შლის ამ პროექტს.

8. საქართველოს ეკონომიკისთვის, ქართველი გლეხისთვის მნიშვნელოვანი და საარსებოდ აუცილებელია რუსული ბაზრის დაბრუნება. ეკოლოგიურად სუფთა და ხარისხიანი პროდუქტის გატანა ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა მაღალია, შესამჩნევად გაზრდის გლეხებისა თუ წვრილ მეწარმეთა ეკონომიკურ მდგომარეობას. დღევანდელი რეალობა კი ის არის, რომ ქვეყანაში შემოდის უხარისხო და გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტები თურქეთიდან, რომელიც მინიმუმ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას და აფერხებს შიდა პროდუქტების რეალიზაციას.

9. ჩვენი უმთავრესი ამოცანაა ადგილზე წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაცვა ანალოგიური უხარისხო ექსპორტირებული პროდუქციისგან მკაცრი რეგულირების დაწესების გზით. თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე: პომიდორზე, ბადრიჯანზე, ვაშლზე, ხახვზე, ნიორზე, სტაფილოზე საბაჟო გადასახადი უნდა გაიზარდოს, რათა განვავითაროთ ადგილობრივი სოფლის მეურნეობა. მაგალითად, ბანანი არ მოდის საქართველოში, მაგრამ თურქეთიდან კარტოფილი და კომბოსტო, ან ეგვიპტიდან ნიორი და ხახვი რატომ უნდა შემოდიოდეს? ზემოხსენებულ პროდუქტებზე საბაჟო გადასახადის აწევით სოფლის მეურნეობას გამოვაცოცხლებთ.

10. საქართველომ უნდა ისწავლოს როგორც ეკონომიკის, ისე პოლიტიკის დაგეგმვა. ამდენი იურისტი და ეკონომისტი ქვეყანას არ სჭირდება. საქართველოში ტექნიკური კადრების დეფიციტია. უნდა დასაქმდეს ადგილობრივი მოსახლეობის 80%. რუსეთში საუკეთესო მეტროს ხაზები, ხიდები, რკინიგზები ქართველების აშენებულია. მოვუწოდებ ქართველ მშენებლებს, დაიძრან რუსეთისაკენ, რათა მატერიალურად გაძლიერდნენ და უფრო მეტი ფული შემოიტანონ საქართველოში.

11. საქართველოში აუცილებლად დავწევთ საპენსიო ასაკს (55-60 წელი). პენსიები და სოციალური დახმარების დონე არ უნდა იყოს სიღატაკის მაჩვენებელი, პირიქით, დროის პერიოდში გაწერილი პენსია – დახმარებების 500 ლარამდე მიღწევა და შემდგომი ზრდა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ღირსეულ ყოფას, მისი შრომითა და თავდადებით შეტანილ წვლილს სახელმწიფოს მშენებლობაში.

12. თუკი ადამიანი სამუშაოზე აკმაყოფილებს ყველა საჭირო მოთხოვნას, გააჩნია შესაბამისი განათლების ცენზი და სამსახურზე მაინც უარს ეუბნებიან მხოლოდ ასაკის გამო, დამსაქმებლის წინააღმდეგ უნდა დაიწყოს სამართლებრივი დევნა.

13. ჯანმრთელობის დაცვის სფეროს განვითარება და განათლების სისტემის სრულყოფა, უნდა დაეტყოს არა მარტო ქალაქებს, არამედ მიუწვდომელ სოფლებსაც კი. უნდა გაფართოვდეს სამედიცინო სადაზღვევო მომსახურების ჩამონათვალი. სახელმწიფო სამედიცინო სისტემამ უნდა უზრუნველყოს ხალხის დაცვა, ადამიანს არ უნდა ეშინოდეს სამკურნალოდ, თუნდაც, ანალიზისათვის მისვლა სამედიცინო დაწესებულებაში. ეს არ უნდა იწვევდეს ჩვენი მოქალაქის გაღატაკებას!

14. ქვეყნის განვითარებისათვის, პრიორიტეტულ დარგებში, განათლების მიღებას სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განათლების სისტემაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და ინოვაციების ათვისებას. უნდა შევაჩეროთ ქვეყნიდან ინტელექტის გადინების პროცესი. ყოველი პრაგმატული სიახლე, გამოგონება სახელმწიფო მხარდაჭერით უნდა რეალიზდეს. ამ მხრივ შეიქმნება ინოვაციათა ცენტრი, რომელიც მხარდაჭერილი იქნება სპეციალურად მოზიდული ინვესტიციებით. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ შიდა ინვესტიცია, რასაც ყურადღებას არ აქცევს ჩვენი სახელმწიფო.

15. მოქალაქენი დაცული უნდა იყვნენ საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციათა თვითნებობისაგან. კანონმა უნდა დააწესოს ერთიანი საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარი. უნდა გამოირიცხოს სპეკულაცია და ადამიანი დაიცვას კანონმა, რათა იგი არ დარჩეს უსახლკაროდ და სარჩოს გარეშე. ბოლო უნდა მოეღოს ადამიანთა მასობრივ ტრაგედიას! ამისათვის საჭიროა შეიქმნას რეგულირების სპეციალური სახელმწიფო ფონდი და სოციალური საცხოვრებელი. ჩვენი პარლამენტში მოსვლის შემდეგ, შემუშავდება კანონი, რომლის მიხედვითაც გამოცხადდება ერთწლიანი ამნისტია იპოთეკარებისათვის. ???

16. მნიშვნელოვნად ვთვლი, რომ დავეხმაროთ მრავალშვილიან დედებს და მიგვაჩნია, რომ მათ უნდა დაენიშნოს ხელფასი. ვთვლით, რომ ისინი ემსახურებიან ყველაზე დიდ საქმეს, რაც ქვეყნისთვის ღირსეული მოქალაქეების აღზრდაა და ჩვენ საპატრიარქოსთან ერთად ვმუშაობთ ერთობლივი ფონდის შექმნაზე, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს როგორც ერის დემოგრაფიაში, ისე სრულფასოვანი და ძლიერი მომავალი თაობის აღზრდაში.

17. უნდა შემცირდეს ხელისუფლების უსაზღვროდ გაბერილი ხარჯები. დაუშვებელია ხალხის, როგორც გადასახადების გადამხდელის ხარჯზე, ჩინოვნიკები ინიშნავდნენ მრავალათასიან ხელფასებს და დაუსაბუთებელ პრემიებს.

18. ხალხი მოითხოვს სამართლიანობის უპირობო აღდგენას!

19. სასამართლო უნდა გაიწმინდოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ მყოფი მოსამართლეებისაგან!

20. მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში არ უნდა დავკარგოთ ჩვენი ეროვნული სახე!

21. ხალხი ყოველთვის გამონახავს საერთო ენას ერთმანეთთან! ჩვენ ტერიტორიებზე კი არ უნდა ვიდავოთ, არამედ უნდა დავიბრუნოთ ჩვენი ახლობლები და ნათესავები – აფხაზი და ოსი ხალხი.

22. საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დაცვა უმთავრეს ამოცანად უნდა ვაქციოთ. ხალხი წინააღმდეგია იმის, რომ ილახება ქვეყნის სუვერენიტეტი. დღეს საქართველოს ბედს წყვეტენ უცხო ქვეყანათა წარმომადგენლები, რაც დაუშვებელია!




23. უნდა მოხდეს აფხაზ, ოს და რუს ხალხთან ქართველების შერიგება, მშვიდობიანი თანაცხოვრება, ურთიერთობა და უვიზო მიმოსვლა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამის გაკეთებას შევძლებთ და ამ ქვეყანაში ცხოვრება ნამდვილად საამაყო გახდება. ახლა ჩვენს მოსახლეობას უკიდურესად მძიმე პირობებში უწევს ცხოვრება. გარდა იმისა, რომ ეკონომიკური გაჭირვებაა, კიდევ სხვა ქვეყნების კარნახით უნდა გავაკეთოთ ყველაფერი. იმ ქვეყნებს საქართველოს ეკონომიკის განვითარება არაფერში არ აწყობს.

***– ვის არ აწყობს საქართველოს ეკონომიკის განვითარება?***

– პირველ რიგში, თურქეთსა და ამერიკას. თურქეთი დაინტერესებულია, რომ აქ რაც შეიძლება მეტი პროდუქცია გაასაღოს. ამერიკა კი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველომ რუსეთის ბაზარზე გასვლა ვერ შეძლოს. ვაშინგტონში მშვენივრად იციან, რომ ქართული ეკონომიკის განვითარება რუსული ბაზრის დახმარებით შეიძლება.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, „ქართული ოცნება“ სულ იმას ამბობდა, რომ რუსეთთან საერთო ენა უნდა გამოვნახოთ და რუსეთის ბაზარზე გავიდეთო. ჩვენ მოსკოვში გვაქვს მიწის ნაკვეთი და შევთავაზეთ საქართველოს ხელისუფლებას, იქ აეშენებინათ ქართული ბაარი. იქ საქართველოს სხვადასხვა კუთხეები იქნებოდა წარმოდგენილი და ამ კუთხეში წარმოებული პროდუქცია გაიყიდებოდა. რუსეთში ქართულ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა. ამ შეთავაზებაზე საქართველოს ხელისუფლებამ უარი გვითხრა.

***– უარის მიზეზი რა იყო?***

– გვითხრეს, ახლა მაგისთვის არ გვცალიაო. სინამდვილეში კი მიზეზი სულ სხვა იყო. საქართველოს ხელისუფლებამ უარი იმიტომ გვითხრა, რომ ამერიკიდან მოუვიდათ ასეთი მითითება. მესმის, რომ ამერიკას რუსეთთან მიმართებაში თავისი ინტერესები აქვს და ამისთვის საქართველოს იყენებს. და თუ რუსულ ბაზარზე გასვლის უფლებას არ გვაძლევენ, მაშინ გააღონ ჩვენთვის ამერიკული ბაზარი.

ან ჩვენ რომ გვიკრძალავენ რუსეთის ბაზარზე გასვლას, თავიანთ სტრატეგიულ პარტნიორ თურქეთს რატომ არაფერს არ ეუბნებიან? ეს ქვეყანა ხომ ნატოს წევრიც არის. თურქეთმა რუსული ბაზრის გარეშე რამდენიმე თვეც კი ვერ გაძლო და ამხელა ქვეყნის პრეზიდენტმა პუტინს ბოდიში მოუხადა.

თურქეთზე ვსაუბრობთ და აუცილებლად უნდა შევეხოთ მის დამოკიდებულებას საბერძნეთთან. ერთიც და მეორეც ნატოს წევრი ქვეყანაა და რამდენიმე ათეული წელია, ნატოს მათ შორის არსებული ტერიტორიული პრობლემა ვერ მოუგვარებია. კვიპროსის საკითხი დღემდე გადაუჭრელია. ძალიან მაინტერესებს, როგორ მოგვიგვარებს ჩვენ ნატო ამ პრობლემას? ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ ნატო ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს. დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია და ამისთვის მთავარია ჭკვიანური პოლიტიკა ვაწარმოოთ.

***– ჭკვიანურ პოლიტიკაში რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ საქართველო ისე უნდა მოიქცეს, როგორც ნამდვილი დამოუკიდებელი ქვეყანა. ჩვენი ქვეყანა არც ერთი ქვეყნის გუბერნია აღარ უნდა იყოს. გვინდა თუ არა, სხვა ქვეყნების მოსაზრებებიც უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ მათი კარნახით არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიაროთ. ამ კარნახით სიარულმა დაგვაკარგვინა აფხაზეთი და სამაჩაბლო. ახლაც ამ კარნახით ამბობენ უარს ერგნეთის ბაზრობის გახსნაზე. არადა ამ ბაზრობამ წლების წინ ცხინვალის რეგიონი ფაქტიურად დააბრუნა საქართველოს შემადგენლობაში. ოსური მხარე ახლაც მზადაა ამ ბაზრობის აღსადგენად, ჩვენი ხელისუფლება კი რაღაც მიზეზებით თავს იკავებს. ასე არ გამოვა, დროა ისეთი გადაწყვეტილებები მივიღოთ, რომელიც საქართველოსთვის იქნება სასიკეთო.

ცოტა ხნის წინ საქართველომ დიდგორობა აღნიშნა და ამ დიდ მოვლენას კიდევ ერთხელ ვულოცავ საქართველოს. ხვალ, 25 აგვისტოს, მეორე დიდგორის ტოლფასი მოვლენა აღინიშნება. 25 აგვისტო ის დღეა, როცა აჭარა თურქეთის 300 წლიანი ტყვეობიდან გათავისუფლდა და დედასამშობლოს დაუბრუნდა. ქართველი ისტორიკოსების ნაწილმა ამ დღეს დიდგორის ტოლფასი მოვლენა უწოდეს. მეც ვიზიარებ ამ მოსაზრებას და ჩემს მეგობრებთან ერთად ბათუმში ვაპირებ ამ დღის აღნიშვნას. სასმელის დიდი მოყვარული არა ვარ, მაგრამ ხვალ აუცილებლად უნდა დავლიო აჭარის დაბრუნების სადღეგრძელო. ამ სადღეგრძელოს ქართველებთან, აფხაზებან, ოსებთან და რუსებთან ერთად დავლევთ. იმედი მაქვს, რომ მალე აფხაზეთის და ცხინვალის დაბრუნებისა და დიდი შერიგების სადღეგრძელოსაც დავლევთ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს ინვესტორს პოტენციური „ზესტაფონი 2„ ჰესის არეალში, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და მშენებლობის პერიოდში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის “გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ქალაქ თერჯოლის ტერიტორია, მდ. ჩოლაბურის ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია P+C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 38 100 მ3 ).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ქალაქ თერჯოლის ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

5 799 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

579,9 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

4 839 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 26 აგვისტოდან დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 სექტემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 24 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 სექტემბრის დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

3 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №2

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება და შემოღობვა.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შროშას ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 365 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შროშას ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

12 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1,2 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

206 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 26 აგვისტოდან დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 სექტემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 24 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 სექტემბრის დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №3

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება, შემოღობვა და ტერიტორიის დასუფთავება.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილი, მე-3 კილომეტრი, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 7 300 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილი, მე-3 კილომეტრი

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

236 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

23,6 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

318 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 26 აგვისტოდან დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 სექტემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 24 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 სექტემბრის დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №4

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელებაა**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, შემოღობვა და ტერიტორიის დასუფთავება,

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. მუკუზანი, „დამარჩინე„, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - C2, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 095 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. მუკუზანი, „დამარჩინე„

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

21 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

2,1 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

211 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 26 აგვისტოდან დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 სექტემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 24 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 სექტემბრის დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №5

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელებაა**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, შემოღობვა და ტერიტორიის დასუფთავება.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. კარდენახის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - C2, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 10 000 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კარდენახის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

194 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

19,4 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

297 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 26 აგვისტოდან დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 სექტემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 24 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 სექტემბრის დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №6

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში - მისი ჰერმეტიზაციაც.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შედგენილობაზე;

თ) მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით, ლიცენზიის მიღებიდან არაუმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში, უზრუნველყოს წყლის მარაგების გამოთვლა და მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;

ი) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს სანიტარული ზონების დაცვა;

კ) ექსპლუატაციის პერიოდში უნდა განხორციელდეს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი;

ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალუბნის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (ჩამოსხმის მიზნით და სხვა სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 2 920 მ3/წელიწადში ჩამოსხმის მიზნით და 3 650 მ3/წელიწადში სხვა სამეწარმეო დანიშნულებით).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალუბნის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

73 000 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

7 300 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

36 700 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 26 აგვისტოდან დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 სექტემბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 24 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 24 სექტემბრის დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

25 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

# ჯონ ქერი კენიაში ჩავიდა



აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი კენიაში ჩავიდა. კენიის პრეზიდენტთან მოლაპარაკებების ძირითადი თემები სუდანსა და სომალიში შექმნილი მდგომარეობა იყო.

— ჩვენ სუდანში სამოქალაქო ომის განახლება არ უნდა დავუშვათ, — თქვა ქერიმ.

საუბარი სომალის პარლამენტის არჩევნებსაც შეეხო. ქერიმ გამოთქვა რწმენა, რომ სომალიში ვითარება გამოსწორდება.

— ეს როგორც ჩვენი, ასევე სომალელი ხალხის ინტერესებშია, — განაცხადა ქერიმ.

# ფინეთს ამერიკასთან სამხედრო კავშირი სურს



ფინეთის თავდაცვის მინისტრმა იუსი ნიისისტემ განაცხადა, რომ ამერიკასთან სამხედრო კავშირი სურს. მიზეზი რუსეთის აგრესიული პოლიტიკაა, რაც ფინეთს საფრთხეს უქმნის.

— ფინეთი ნეიტრალური სახელმწიფოა და მას მარტოს რუსეთთან გამკლავება გაუჭირდება. ამიტომ გვსურს ისეთ ძლიერ დემოკრატიულ სახელმწიფოსთან კავშირი, როგორიც ამერიკაა, — აცხადებს ნიისისტე.

# გერმანია ომის მოლოდინშია?

გერმანიის მთავრობამ სამოქალაქო თავდაცვის ახალი კონცეფცია შეიმუშავა. თანახმად ამ კონცეფციისა, მოსახლეობას ურჩევენ, მოიმარაგოს ათი დღის სამყოფი წყალი, შაქარი, მარილი და სხვა აუცილებელი პროდუქტები.

— ეს იმ შემთხვევისთვის, თუკი საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდება, — ნათქვამია კონცეფციაში.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ცივი ომის შემდეგ ასეთი კონცეფციის შემუშავება პირველად მოხდა. გერმანული ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები კი ყოველივეს რუსეთთან გამწვავებულ ურთიერთობებს უკავშირებენ.



— ხალხს ნელ-ნელა აჩვევენ იმას, რომ შესაძლოა ომი დაიწყოს, — აცხადებენ გერმანელი ოპოზიციონერები.

# რუსი ამომრჩეველი მზადაა, საკუთარი ხმა გაყიდოს



© picture-alliance/dpa/Maxim Shipenkov

ახლოვდება რუსეთის პარლამენტის არჩევნები.

ლევადა-ცენტრის მონაცემებით, ამომრჩეველთა 50% ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ ენდობა.

— არჩევნებს მაინც გააყალბებენ, შედეგი ისეთი იქნება, როგორც პუტინს სურს, — თვლიან ისინი.

შეკითხვაზე, მზადა ხართ თუ არა ფულის გამო ხმა ამა თუ იმ კანდიდატს მისცეთ, 23%-მა დადებითი პასუხი გასცა.

— ხმებს მაინც გააყალბებენ! ამიტომ არა სჯობია, რამე გამორჩენა მაინც ვნახოთ? — ამბობენ ისინი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერებისგაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ირაკლი ჩიქოვანი ცესკოს მიმართავს, არ დაუშვას საპარლამენტო არჩევნების გაყალბება

ირაკლი ალასანია — თავისუფალი დემოკრატების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი პრემიერ-მინისტრს და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართავს, არ დაუშვან მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების გაყალბება.

ირაკლი ჩიქოვანმა მიმართვა ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის ოფისთან გააკეთა, სადაც ხმათა უმრავლესობით უნდა მომხდარიყო საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება.



— ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები პირდაპირი კარნახის წესით მიუთითებენ, თუ ვინ აირჩიონ საუბნო საარჩევნო კომისიებში, როგორც ე.წ. პროფესიული წევრები. ეს არის მიუღებელი და ეს არის პირველი ნაბიჯი არჩევნების გაყალბებისკენ, — განაცხადა ირაკლი ჩიქოვანმა.

მაჟორიტარობის კანდიდატმა მოუწოდა პრემიერ-მინისტრს, დაინტერესდეს თუ როგორ მოქმედებენ მისი პარტიის წარმომადგენლები ადგილობრივ ორგანიზაციებში.

— მივმართავ ასევე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, ნუ გახდებიან პოლიტიკური მანიპულირების საგანი. მათ უნდა მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, — განაცხადა ირაკლი ჩიქოვანმა.

**ინტერპრესნიუსი**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# ვახტანგ მაისაია: „ეს დივერსია ნაცმოძრაობის ინტერესში შეიძლებოდა ყოფილიყო“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

მას შემდეგ არაერთი რეფორმა ჩატარდა და ეფექტურად მუშაობის საშუალება მიეცა ამ სამსახურს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯალათი ელემენტები დარჩნენ.

***— ახლა რომ დაიჭირეს, ისინი ხომ არ არიან სპეცსამსახურების მაშინდელი წარმომადგენლები?***

— როცა ამ ადამიანების ბიოგრაფია იქნება ხელმისაწვდომი, მაშინ შესაძლებელია უფრო სრული სურათის დაფიქსირება. განსხვავება ის არის, რომ ადეიშვილის პერიოდში ე.წ. ტერაქტების „გამოვლინების“ დროს მტკიცებულებები არ იყო. მაგალითად, კოჭოიას შემთხვევაში. კოჭოია ისე დაიჭირეს, რომ მის წინააღმდეგ კონკრეტული მტკიცებულებები ვერ შეკრიბეს.

აქ წარმოდგენილია კონკრეტული მტკიცებულებები, კონკრეტული სამხილები კონკრეტული საბრძოლო და ასაფეთქებელი ნივთიერებების სახით. აქ წარმოდგენილია სქემა, ობიექტი, რომლის აფეთქებას აპირებდნენ. გამოვლენილია გარკვეული ჯგუფი, შესაბამისად, წინაპირობა არის წარმოჩენილი.

***— ისე, ერთ-ერთ დაკავებულზე ითქვა, სამალავამდე მისასვლელი გზაც არ იცოდაო.***

— რომელიმე მონაწილეს რომ არ სცოდნოდა, ობიექტი სად იყო, სავსებით დასაშვებია ასეთი დივერსიული მოქმედებების დროს. როდესაც ჯგუფი შეიარაღდებოდა, მერე მიეცემოდა საბრძოლო ამოცანა, რაც ბოლო მომენტამდე შეიძლებოდა არ სცოდნოდა ჯგუფის რომელიმე წევრს და მისთვის ცნობილი გამხდარიყო დივერსიული აქტის ჩადენამდე რამდენიმე საათით ადრე.

***— შესაძლებელია, ტერაქტის მოწყობის მცდელობა დაკავშირებული ყოფილიყო ისლამურ სახელმწიფოსთან? ბათირაშვილს თანამებრძოლებისთვის ანდერძი დაუტოვებია, კავკასიას მიმიხედეთო. ისლამურ სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს ის იარაღი, რომელიც აღმოაჩინეს სამალავში?***

— სამალავი ჯერ კიდევ იმ დროიდან იყო, რომელიც კახეთში, თბილისში და სამეგრელოში ნახეს.

***— ნაციონალური მოძრაობის დროინდელ სამალავებზე ამბობთ?***

— დიახ. ჯგუფი შემოვიდა თბილისში და როდესაც ისინი წავიდნენ სამალავიდან იარაღის ამოსაღებად, მაშინ დაიწყო მათი დაკავება.

***— ანუ თქვენ მაინც ნაცმოძრაობის მიზნებისკენ იხრებით?***

— არ გამოვრიცხავ, ნაციონალების მიზნებში ყოფილიყო. მე ვუყურე ნაცმოძრაობის კონტროლირებად ტელევიზიებს და მათი სიუჟეტების მიხედვით ვაკეთებ ასეთ დასკვნებს, ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა.

***— ტერაქტი ნაცმოძრაობის ინტერესში იყო?***

— ნაციონალების კონტროლირებად ტელევიზიებში გავიდა ისეთი სიუჟეტები, რომლებიდანაც ასეთი აზრი შემექმნა. მანამდე სააკაშვილის განცხადებები, ჩვენ დავბრუნდებით. ეს ნაცმოძრაობის ინტერესში შეიძლებოდა ყოფილიყო. თუ გაზსადენის აფეთქება გამოიწვევდა საკმაოდ სერიოზული საფრთხის გაჩენას, რამდენიმე სახელმწიფოს — რუსეთის, სომხეთის, საქართველოს ინტერესები იკვეთებოდა. საქართველოს ეკონომიკას ზიანი მიადგებოდა. ამ გაზსადენიდან 5-10% საქართველოს რჩება. მოხდებოდა სომხეთისთვის გაზის მიწოდების პარალიზება, რუსეთთან ურთიერთობები დაიძაბებოდა. მით უმეტეს, საქართველოში მიმდინარე რთული საარჩევნო კამპანიის გათვალისწინებით.

წინა არჩევნები ასეთი სასტიკი ფორმით არ გამოირჩეოდა. წინა არჩევნებზე ნაცმოძრაობა კი ცდილობდა, ხალხი დაეშინებინა, მაგრამ ასეთი კომპრომატების ომი არ ყოფილა. ამ არჩევნებზე დომინირებს საგარეო პოლიტიკა. საარჩევნო კამპანია იქნება საგარეო პოლიტიკური ვექტორების განსაზღვრის თვალსაზრისით, რაც წინა არჩევნებისგან ამ არჩევნებს გამოარჩევს. პოლიტიკური საკითხი არც 2008 წელს იყო და არც 2012 წელს და არც რომელიმე წინა არჩევნებზე.

***— თუ გახსენდებათ, რომელიღაც პერიოდში, მგონი, რუსეთმა დივერსიული აქტი თვითონ რომ მოაწყო, რის გამოც საქართველო დაზარალდა.***

— თუ არ ვცდები, 2006 წელს იყო დივერსიული აქტი რუსეთის ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში გამავალ გაზსადენზე, რომელმაც გამოიწვია ეკონომიკური ბლოკადა და ეკონომიკური ომი საქართველოს წინააღმდეგ. ვერ დადგინდა, დივერსიის უკან რა ძალები იდგა, მაგრამ ამან გამოიწვია ენერგეტიკული ომი, რომელიც შემდეგ პოლიტიკურ ომში გადაიზარდა. ამ შემთხვევაში არ არის გამორიცხული ნაცისტური და რუსული კვალი. თუმცა ეს ვერსიებია და გამოძიების დამთავრებამდე ამაზე ლაპარაკი ადრეა.

## ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციამ ქართველი მსაჯი მოკვეთა

## ოლიმპიადაზე შეცდომების გამო

2015 წლის საქართველოს საუკეთესო მსაჯი, თემო ყაზარაშვილი ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციამ მსაჯობას ჩამოაშორა. ქართველთან ერთად საეჭვო მსაჯობის გამო სამხრეთკორეელი ტონ კინ ჩონი და რუსი სერგეი ნოვაკოვსკიც მოკვეთეს.

ეს სამეული ოლიმპიადის ბოლო დღეს, თავისუფალ ჭიდაობაში, 65 კილოგრამში პუერტორიკოელი მსოფლიოს 2011 წლის ვიცე-ჩემპიონ ფრანკლინ მატოშ გომესისა და უზბეკი იხტიორ ნოვრუზოვის მეოთხედფინალური შეხვედრის გამო დაისაჯა, რომელშიც აზიელმა 8:5 იმარჯვა.

ეს არ ყოფილა ნოვრუზოვის ერთადერთი შეხვედრა, რომელიც სკანდალით დასრულდა. გაცილებით უფრო დიდი ხმაური მოჰყვა მის შეხვედრას რეპეშაჟის ფინალში, სადაც მონღოლ მანდაკარან განზორიგს 7:7-ზე დამატებითი მაჩვენებლებით მოუგო. მაშინ მსაჯობით აღშფოთებული მონღოლი მწვრთნელი ხალიჩაზე შევარდა, ტანსაცმელი გაიძრო და მსაჯებს სახეში მიაფურთხა.



არც ყაზარაშვილისთვის იყო ზემოთ ნახსენები ფაქტი ერთადერთი ინციდენტი რიოს ოლიმპიადაზე: ქართველმა მსაჯმა რიოში რუსეთის სახელით მოასპარეზე დავით ჩაკვეტაძისა და უკრაინელი ჟან ბელენიუკს შორის ფინალური მატჩი იმსაჯა, რომელიც ჩაკვეტაძის გამარჯვებით დასრულდა, რასაც უკრაინის სპორტის მინისტრის პროტესტი მოჰყვა.

უკრაინელები მიიჩნევენ, რომ ჩაკვეტაძემ მათი ფალავანი ჟან ბელენიუკი ფინალში მსაჯების დახმარებით დაამარცხა. უკრაინის სპორტის მინისტრმა იგორ ჟდანოვმა განაცხადა, რომ მათ სპორტსმენს ოლიმპიადის ოქროს მედალი მოპარეს.

– ვფიქრობ, რომ ჟან ბელენიუკს ოლიმპიადაზე დამსახურებული ოქრო მოპარეს. მას ამის შესახებ ორთაბრძოლის დასრულების შემდეგ ტელეფონზე საუბრის დროს ვუთხარი. ჩვენთვის ჟან ბელენიუკი ნამდვილი ჩემპიონია, ხოლო უსამართლო სპორტულ ბრძოლაში მოპარული ოქროს მედალი ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებად არ შეიძლება ჩაითვალოს.

ჭიდაობის ფედერაციის ეთიკური კომისია აღნიშნული შეხვედრის გარემოებების გამოძიებას აპირებს და საჭიროების შემთხვევაში მსაჯებს სანქციებით დასჯის.

# ხავიერ ძანეტი: „დამსახურების გამო თვალს არავინ დამიხუჭავს“

**20 სეზონი გაატარა მილანის ინტერში არგენტინელმა ფეხბურთელმა ხავიერ ძანეტიმ და სათამაშო კარიერაც იქვე დაასრულა. ეს ამაგი კლუბის ხელმძღვანელობამ დაუფასა და ახლა არგენტინელი „ნერაძურის“ ვიცე-პრეზიდენტია.**

**ძანეტისთან ინტერვიუ იტალიურ მედიაში გამოქვეყნდა და რამდენიმე კუთხით ქართველი კლუბების მეპატრონეებისთვისაც უნდა იყოს საინტერესო.**




***– კარიერის დასრულების შემდეგ რა არის თქვენთვის ყველაზე მთავარი?***

– დღეს ფეხბურთი ძალიან დაბინძურებულია, თუმცა მე დიდ სიყვარულსა და პატივისცემას ვგრძნობ როგორც საფეხბურთო საზოგადოებისგან, ისე უბრალო გულშემატკივრებისგან. სახელი ჩემთვის ყველაზე ძვირფასია და ვეცდები, რომ ცხოვრების ბოლომდე შევინარჩუნო. მაქვს საქველმოქმედო ფონდი, სადაც ყველაფერი გამჭვირვალეა და ჩანს, რომ სხვადასხვა ღონისძიებებიდან შემოსული თანხებით ვეხმარებით მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

***– კარიერის დასრულების შემდეგ, ახალი ცხოვრება დაიწყეთ. რა იყო თქვენთვის ყველაზე მოულოდნელი?***

– ფეხბურთელობისას მხოლოდ ვარჯიშებზე და თამაშებზე ვფიქრობდი, დღეს კი ბევრი მიმართულებით მიწევს მუშაობა. ვიცოდი, რომ გუნდის წარმატებების გამო, მადლობები, ან გნებავთ მედლები, კლუბის მენეჯმენტის წევრებსაც ეკუთვნოდათ, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ყველაფერი ასე რთულად იყო. იმისთვის, რომ მოედანზე 11 ფეხბურთელი გავიდეს და ითამაშოს, უამრავი ადამიანი თავდაუზოგავად შრომობს. კლუბის მენეჯმენტში ერთი რგოლიც რომ მოიშალოს, კრიზისი გარდაუვალია.

***– ინტერის მესვეურები სტანდარტულად აფასებენ თქვენ მიერ გაწეულ სამუშაოს, თუ წარსულიდან გამომდინარე, პრივილეგიები გაქვთ?***

– ვამაყობ წარსულით და ბედნიერი ვარ, რომ თითქმის მთელი კარიერა ინტერს დავუკავშირე. თუმცა, სადღეისოდ სულ სხვა პოზიციაზე ვარ და კარგად მაქვს გააზრებული, რომ წარსული დამსახურების გამო თვალს არავინ დამიხუჭავს. ამ თემაზე პრეზიდენტ ერიკ ტოჰირთან კონკრეტული საუბარი მქონდა.

***– თქვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები ფინანსები და მარკეტინგია. მაინც როგორ უნდა მოიზიდო თანხები კლუბში?***

– ძალიან მნიშვნელოვანია სატელევიზიო ტრანსლირებიდან შემოსული თანხები და ეს ყველამ ვიცით. თუმცა, მხოლოდ ტელევიზიებზე ვერ ვიქნებით დამოკიდებული. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ბაზების აშენება, სადაც ნიჭიერი ფერხბურთელების აღზრდაა შესაძლებელი, ეს კი მოგცემს საშუალებას, რომ გუნდის ძირითად ბირთვს საკუთარი სკოლის აღზრდილები წარმოადგენდნენ. შესაბამისად, ტრანსფერებში ყოველ ზაფხულს ასეულობით მილიონი ევრო არ დაიხარჯება. აუცილებლად უნდა დავბრუნდეთ ჩემპიონთა ლიგაზე, რაც ჩვენ ფინანსურ მდგომარეობას მკვეთრად გააუმჯობესებს.

***– არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ იმ კომისიის ხელმძღვანელობა შემოგთავაზათ, რომელმაც ეროვნული და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების კეთილდღეობისთვის უნდა იმუშაოს, თუმცა თქვენ იუარეთ.***

– ყოველთვის მზად ვარ, რომ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას დავეხმარო, მაგრამ კომისიის ხელმძღვანელობა ძალიან საპასუხისმგებლო საქმე იყო, რომელსაც ვერ მოვკიდებდი ხელს. ინტერში ისეთი დატვირთული გრაფიკი მაქვს, რომ ყურადღებას ვერ მოვაკლებ. გარდა იმისა, რომ უამრავი საქმე მაქვს, რეგულარულად ვესწრები ფინანსების და მარკეტინგის ლექციებს. ამ გრაფიკით არგენტინის ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობა პრაქტიკულად შეუძლებელია.

***– როგორ ხედავთ ფეხბურთის მომავალს ფიფაში აგორებული სკანდალის შემდეგ?***

– ეს პროცესები მხოლოდ წაადგება ფეხბურთს, რადგან სპორტის უპირველეს სახეობაში ბევრი რამეა შესაცვლელი. ფეხბურთმა ერთი ნაბიჯი უნდა გადადგას უკან და დაუბრუნდეს იმ წერტილს, სადაც მთავარი სპორტული მოტივაცია, ვნება და მოგების ჟინი იყო, ფულს კი ასეთი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

***– თქვენ ახლო ურთიერთობა გაქვთ ფიფას პრეზიდენტ ჯანი ინფანტინოსთან.***

– ინფანტინოსთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს და მასზე მხოლოდ კარგი შემიძლია ვთქვა. ფეხბურთზე ფანატიკურად შეყვარებული ადამიანია, რომელსაც უამრავი შესანიშნავი იდეა აქვს. ამ იდეებს განხორციელება სჭირდება და დარწმუნებული ვარ, რომ ინფანტინო ფეხბურთს დიდ სარგებელს მოუტანს.

***– დიდი ხანია, რაც ევროპაში ცხოვრობთ. როგორ აფასებთ არგენტინულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებს?***

– ფიფამ საგანგებო ჯგუფი გამოყო, რომელიც არგენტინაში გაემგზავრა და ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობის შესწავლას აპირებს. არის საუბრები ფინანსურ და იურიდიულ პრობლემებთან დაკავშირებით და ეს უკვე ცუდია. არგენტინა მსოფლიოს საფეხბურთო ბრენდია, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება.

***– უკვე 23 წელია, რაც არგენტინის ნაკრებს არაფერი მოუგია.***

– საკლუბო ტურნირებისგან განსხვავებით, სანაკრებო ჩემპიონატები იშვიათად ტარდება და ამიტომ ამაში არაფერია საგანგაშო. მით უმეტეს, არგენტინის ნაკრები არაერთხელ იყო დიდი ტურნირების ფინალში და, ჩემი აზრით, იმსახურებდა გამარჯვებას.

***– გაგიკვირდათ, როდესაც გაიგეთ, რომ ლიონელ მესიმ სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება?***

– მესი ძალიან გაღიზიანებული იყო, რადგან მუნდიალის შემდეგ კიდევ ერთი ფინალი წააგო. შემდეგ აზრი შეიცვალა. თუმცა, როგორც არ უნდა მოიქცეს მესი, ის რჩება მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად. არგენტინაში ფეხბურთელი სანაკრებო მიღწევებით იზომება და ეს გასაგებია, მაგრამ მესი ყველა შემთხვევაში უდიდესი ფეხბურთელია.

***– როგორი იქნება არგენტინის ნაკრები მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატზე?***

– არგენტინის ნაკრებში რთული პერიოდია, რადგან კოპა ამერიკას ფინალში განცდილი მარცხის შემდეგ ფეხბურთელთა ერთმა ნაწილმა სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება. ბევრი რამე ახალ მწვრთნელზეა დამოკიდებული, რომელიც სათითაოდ უნდა ელაპარაკოს ფეხბურთელებს და მათში ახალი ენერგია შთაბეროს.

# შედეგები

**22 აგვისტო**

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სელტა-ლეგანესი ............................ 0:1
ვალენსია-ლას პალმასი ................. 2:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 6-2 | 3 |
| 2.რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 3.სევილია | 1 | 1 | 0 | 0 | 6-4 | 3 |
| 4.ლას პალმასი | 1 | 1 | 0 | 0 | 4-2 | 3 |
| 5.დეპორტივო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 6.ხიხონი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 7.ლეგანესი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 8.ალავესი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 9.ატლეტიკო | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 10.გრანადა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 11.მალაგა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 12.ოსასუნა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 13.ვილიარეალი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 14.ბილბაო | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 15.ეიბარი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 16.სელტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 17.ესპანიოლი | 1 | 0 | 0 | 1 | 4-6 | 0 |
| 18.ვალენსია | 1 | 0 | 0 | 1 | 2-4 | 0 |
| 19.სოსიედადი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| 20.ბეტისი | 1 | 0 | 0 | 1 | 2-6 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

სარაგოსა-მურსია ........................... 3:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

რეიმსი-რედ სტარი ......................... 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბრაგა-რიუ ავე ................................ 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

არსენალი-ორენბურგი ................... 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

გალათასარაი-ქარაბუქი................. 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კორონა-ვისლა ............................... 1:0

**დანია. სუპერლიგა**

ესბიერგი-ოდენსე ........................... 3:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

მალმიო-იონჩოპინგი ....................... 4:1
იორგრიტე-ლიუნგსკილე ................. 3:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# დავით რურუა საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტად 4 წლის ვადით აირჩიეს



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაიმართა საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგში შედიოდა 3 საკითხი: ფედერაციის პრეზიდენტის არჩევა, გამგეობის წევრების არჩევა და ფედერაციის მოქმედ წესდებაში ცვლილებების შეტანა.

ფედერაციის არჩევნებს დაესწრო სპორტის პოლიტიკისა და მართვის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე.

არჩევნების დაწყებამდე ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველი 5 კანდიდატიდან 4-მა – გიგი გორდელაძემ, მიხეილ ნაბიჯაშვილმა, დავით გაჩეჩილაძემ და ზვიად დავითიანმა კანდიდატურა მოხსნეს, დარჩენილ კანდიდატს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის მოქმედ პრეზიდენტს დავით რურუას კი დელეგატებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს.

ხმის მიცემის მქონე 85 სუბიექტიდან არჩევნებს 66 დელეგატი დაესწრო და დავით რურუა პრეზიდენტად ერთხმად აირჩია. ამრიგად, რურუა საწყლოსნო სახეობათა ფედერაციას მომდევნო 4 წლის განმავლობაშიც უხელმძღვანელებს.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# გიორგი კვირიკაშვილი: „ჩვენ შევძლებთ ყველაზე მთავარს — დავასრულოთ დაპირისპირებები საზოგადოებაში“



**— ჩვენ შევძლებთ ყველაზე მთავარს — დავასრულოთ დაპირისპირებები საზოგადოებაში, გავაერთიანოთ მთელი ქვეყანა ერთიანი პოზიტიური, დადებითი განვითარების გეგმის გარშემო.**

ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ქარელის მოსახლეობას, რომელთაც პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიორგი თოთლაძე წარუდგინა.

გიორგი კვირიკაშვილმა ადგილობრივებს ხელისუფლების მიერ განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები გააცნო.

მისი თქმით, არც ერთ მთავრობას, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, არ მიუქცევია იმხელა ყურადღება სოფლის მეურნეობისთვის, როგორც დღეს.

— ეს სახელმწიფო პროგრამები ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და განსაკუთრებით ქარელისთვის, სადაც მრავალწლიანი ნარგავების მოშენების უდიდესი კულტურა არსებობს. ასევე მნიშვნელოვანია მცირემიწიან ფერმერთა დახმარებისკენ მიმართული პროგრამები, რომელთა მეშვეობით ხდება ბევრი პრობლემის გადაჭრა. დღეს უკვე საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის ეკონომიკის გრძელვადიან გაჯანსაღებას, ადგილობრივი წარმოების განვითარებას და სოფლის მეურნეობის გაძლიერებას, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

მთავრობის მეთაურის განმარტებით, ხელისუფლების საბოლოო მიზანია, თითოეული მოქალაქის ოჯახში შევიდეს კეთილდღეობა, რაც ქვეყნის სწრაფი განვითარების გეგმით მიიღწევა.

პრემიერმა ეკონომიკის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ პირველი იანვრიდან მოგების გადასახადი აღარ იარსებებს იმ შემთხვევაში, თუ მოგებული თანხა მომავალ პროექტებში რეინვესტირდება.

— ჩვენ მთლიანად უარი ვთქვით იმ მემკვიდრეობაზე, როდესაც საგადასახადო ინსტიტუტები ბიზნესზე წნეხისთვის იყო გამოყენებული და უარი ვთქვით კომპანიების შესამოწმებლად ფინანსური პოლიციის გამოყენებაზე. ჩვენ ზუსტად ვიცით, სად უნდა დავიწყოთ და სად უნდა დავასრულოთ ოთხ წელიწადში, ეს არის ძალიან მკაფიო გეგმა, რომლის განხორციელების კომპეტენცია, გამოცდილება, ხალხთან კავშირი და ქვეყნის სიყვარული ჩვენ გაგვაჩნია, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა ქარელის მოსახლეობასთან შეხვედრისას.

როგორც ქარელის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გიორგი თოთლაძემ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, მის რაიონში ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა.

— მე ვარ მაჟორიტარობის კანდიდატი ჩემს მშობლიურ ქალაქში, ჩემს მშობლიურ რაიონში იმ გუნდიდან, რომელმაც შეძლო და 4 წლის მანძილზე ძალიან ბევრი სიკეთე მოუტანა ჩემს ქვეყანას, თითოეულ ქალაქს და თითოეულ სოფელს. მე მიყვარს ჩემი ქალაქი, ჩემი რაიონი. მე აქ დავიბადე და გავიზარდე.

თითოეულ ჩემს წარმატებას ბავშობიდანვე ვუძღვნიდი ჩემს რაიონს და ქვეყანას. მომავალშიც, რა თქმა უნდა, ასე გაგრძელდება. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ ბოლო წლების განმავლობაში ძალიან ბევრი კარგი საქმე გაკეთდა ჩვენს რაიონში, ძალიან ბევრი ღირსეული პროექტი განხორციელდა.

დარწმუნებული ვარ და მინდა დაგარწმუნოთ თქვენც, რომ მომდევნო 4 წელი გაცილებით წარმატებული იქნება ჩვენი რაიონისთვის, რადგან მოხდება უფრო მეტი განვითარება და უფრო მეტი სიკეთე შევა თითოეული თქვენთაგანის ოჯახში. მე მინდა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადაგიხადოთ აქ მობრძანებისთვის, მხარდაჭერისთვის. დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ პრემიერს ასეთი ნდობის გამოცხადებისთვის.

მე კარგად ვაცნობიერებ, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრა და პირობას გაძლევთ, ამ დიდ გამოწვევას ღირსეულად გავართმევ თავს“, - აღნიშნა გიორგი თოთლაძემ.

# „ევროკავშირი დაინტერესებულია, რომ საქართველო ასხივებდეს პროგრესს“

— ევროკავშირი დაინტერესებულია, რომ საქართველო ასხივებდეს პროგრესს და სტაბილურობას რეგიონში. საქართველო-ევროკავშირის პარტნიორობა ორივე მხარისთვის არის მნიშვნელოვანი.

ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა გერმანელ ჟურნალისტ რენე შულცისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

— ჩვენ დაინტერესებული ვართ დემოკრატიით, კეთილდღეობით, კანონის უზენაესობითა და უსაფრთხოებით ჩვენი სამეზობლოს ქვეყნებში, აღმოსავლეთით თუ სამხრეთით.

დაინტერესებულია თუ არა ამით საქართველო? რა თქმა უნდა, ვფიქრობ, რომ სწორედ ეს არის ჩვენი თანამშრომლობის საფუძველი. ფაქტობრივად, საქართველო გვეუბნება: „თქვენთან დაახლოების სურვილი მაქვს“, ჩვენ კი ვპასუხობთ:



„დიახ, ამის გაკეთება შეგიძლია“ და ამაში დაგეხმარებით, ეს ჩვენს ფასეულობებსა და ინტერესებს ეფუძნება, — აცხადებს იანოშ ჰერმანი.

მისი თქმით, ევროკავშირი დაინტერესებულია სტაბილური და დემოკრატიული საქართველოთი, რომელსაც შეუძლია, იყოს არა მხოლოდ ევროკავშირის მნიშვნელოვანი პარტნიორი, არამედ ჰქონდეს გავლენა რეგიონზე.

— დაინტერესებულია თუ არა ევროკავშირი აყვავებული და დემოკრატიული საქართველოთი, რომელიც სტაბილურია და რომელსაც შეუძლია იყოს მნიშვნელოვანი პარტნიორი ბევრ ასპექტში, არა მხოლოდ ორმხრივი თანამშრომლობის კუთხით, არამედ ჰქონდეს გავლენა რეგიონზე, ასხივებდეს პროგრესს და სტაბილურობას რეგიონში, საქართველოთი, რომელიც არის მნიშვნელოვანი რგოლი აზიასა და ევროპას შორის, სადაც არის ენერგოკავშირები, მილსადენები, ტრანსპორტი, გზები, ახალი პორტები და სხვა ეკონომიკური შესაძლებლობები, მათ შორის ჩვენი კომპანიებისთვისაც? — დიახ. ჩვენ ამით დაინტერესებული ვართ და ერთად ვმუშაობთ ამაზე, — განაცხადა იანოშ ჰერმანმა.

# შსს: „რუსთავში ნაციონალები პოლიტიკის გამო არ უცემიათ“

— რუსთავში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების ცემის ფაქტი არ წარმოადგენს პოლიტიკურ დაპირისპირებას.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში, რუსთავში ნაციონალური მოძრაობის აქტივისტის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტის კომენტირებისას განუცხადეს.

ამ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით დაიწყო, რაც ცემას გულისხმობს.

შს სამინისტროს განმარტებით, გამოძიების მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტის, არსენ კასაშვილის განცხადება, თითქოს იმ პირებიდან, ვინც მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ერთ-ერთი რუსთავში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატ გიორგი ბრეგაძის ახლო ნათესავია, სიმართლეს არ შეესაბამება.

— დადგინდა, რომ „ქართული ოცნების“ წევრსა და ინ-



ციდენტში მონაწილე პირს შორის არ არსებობს ნათესაური კავშირი. მეტიც, ისინი ერთმანეთსაც კი არ იცნობენ, — აცხადებენ შსს-ში.

რუსთავში ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერ არსენ კასაშვილის თქმით, 22 აგვისტოს იგი სახლში ბრუნდებოდა, როდესაც მას „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები დახვდნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

არსენ კასაშვილის განცხადებით, მას ორი პირი დახვდა, რომელთაგან ერთ-ერთი აცხადებდა, რომ რუსთავში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატ გიორგი ბრეგაძის ახლო ნათესავია.

# ლევან იზორია: „გონიოში დაკარგული ჯარისკაცების საქმეში დანაშაულის ნიშნები ჩანს“



— გონიოში დაკარგული ორი ჯარისკაცის საქმის გამოძიებაში იკვეთება გარემოებები, სადაც ნათლად ჩანს დანაშაულის ნიშნები.

ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ჟურნალისტებს განუცხადა. მისივე განმარტებით, გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ყოველდღიური ინფორმაცია აქვს.

რაც შეეხება თურქეთის სამხედრო საზღვაო ძალების ხომალდს, მინისტრის განმარტებით, შესაძლოა მისი ძებნაში მონაწილეობა დაახლოებით ერთი კვირა გაგრძელდეს.

— თავიდანვე მათი განცხადება და სურვილი იყო, რომ გვყოფნოდა მოთმინება, — აღნიშნა იზორიამ.

**ინტერპრესნიუსის ინფორმაციები**

# ასტროპროგნოზი
## 24 აგვისტოსთვის



**ვერძი** — სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. სირთულეების დაძლევაში მოვლენების საღად აღქმის უნარი დაგეხმარებათ. **კურო** — კოსმოსიდან დიდ ენერგიას იღებთ. დღის დევიზია სიმშვიდე, სიყვარული და თანხმობა. **ტყუპები** — იყავით დიდსულოვანი. დღეს, შესაძლოა, კომერსანტები პრობლემებს გადააწყდეთ. ფინანსებთან დაკავშირებით დიდი ყურადღების გამოჩენა გმართებთ. **კირჩხიბი** — გარშემომყოფები პრობლემებს გიქმნიან. თუ საჭირო წინდახედულობასა და შორსმჭვრეტელობას გამოიჩენთ, ყველაფერი მოგვარდება. **ლომი** — ფარული არაკეთილისმსურველებისაგან მოტყუებასა და ცილისწამებას ელოდეთ. მაგრამ წყნარად იყავით, ვერაფერს დაგაკლებენ. **ქალწული** — მშვიდად იმუშავეთ. ნურაფერს გააზვიადებთ. ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება სასურველი არ არის. **სასწორი** — ყოველგვარი შეხვედრა და საქმიანი მოლაპარაკება სხვა დროისათვის გადადეთ. კარგი იქნება, თუ მხოლოდ შემოქმედებით დაკავდებით. **ღრიანკალი** — ბავშვებთან ურთიერთობა სულს გაგითბობთ და სიმშვიდეს მოგგვრით. ასევე მოგიხდებათ მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა. **მშვილდოსანი** — ნუ გარისკავთ. კომერციული ოპერაციებისათვის შეუფერებელი დროა. **თხის რქა** — კოლეგებთან ურთიერთობისას ფრთხილად იყავით. შესაძლოა, სირთულეები შეგექმნათ. **მერწყული** — მძიმე და სახიფათო დღეა. მაცდუნებელ წინადადებას უცებ ნუ დათანხმდებით. **თევზები** — მივლინებები, საქმიანი შეხვედრები არასასურველ შედეგს გამოიღებს. წვრილმანი უსიამოვნებებისათვის მზად იყავით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ნიადაგის ნაყოფიერების, ბარაქის, სიუხვის ღვთაება სვანეთში; 2. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 3. ექიმის სპეციალობა; 4. დიდი თაგვი; 5. განუწყვეტელი შეტევა კრივში; 7. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 11. ძვირფასბეწვიან ცხოველებზე მონადირე პროფესიონალი ჩრდილო ამერიკაში; 13. წინასწარი, მიახლოებითი აზრი რაიმეს შესახებ; 15. გემების სადგომი ნავსადგურში; 16. ცალკე მცხოვრები ოჯახი სოფლად; 18. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული სირაქლემა; 19. ფულის ერთეული პაკისტანში.

**თარაზულად**: 6. რაიმე ფაქტის, ამბის ერთ-ერთი ახსნა; 8. კარაქის შესადღვები ხის პრიმიტიული ხელსაწყო; 9. სომეხთა მღვდელი; 10. უფლისწულის ტიტული ესპანეთში; 12. პირველი გერმანული ოპერა; 14. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 17. სანატორიუმის ტერიტორიაზე სპეციალურად მოწყობილი ბილიკი სამკურნალო სიარულისთვის; 20. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული საშობაო კერძი ბრიტანეთში; 21. წინასწარი მონახაზი; 22. მოკლე წარწერა გერბზე; 22. დუქნის დახლიდარი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. უჯრედი; 2. ცემი; 3. კონტრაქტი; 4. „ჰერტა“; 5. ფისკალი; 8. ინვარი; 9. ინფანტინო; 12. მარუხი; 14. კარაქი; 16. უბისა.

**თარაზულად:** 1. უფლისციხე; 6. „პოლონეზი“; 7. რეზიუმე; 9. ისინდი; 10. „იავა“; 11. კარდიფი; 13. „ტოკაი“; 15. „მალიბუ“; 17. ცისკარი; 18. კულუხი; 19. „აიაქსი“; 20. კატორღა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მსგეფსი; 2. იამოტო; 3. ჩატურანგა; 4. ეკლერი; 5. რელიქვია; 7. არვე; 11. დუბლინი; 13. ნარვალი; 15. ღალღა; 16. ვოლგა; 18. ალიბი; 19. იახტა.

**თარაზულად:** 6. „სეზარი“; 8. ვახშამი; 9. გოლეული; 10. ფაზენდა; 12. გოთუა; 14. ლიძავა; 17. გერიტრია; 20. ეპილოგი; 21. აღლუმი; 22. ბისტრო; 23. ჯარგვალი.

# ლაზეთის უცნობი ისტორია ირლანდიის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული

საქართველოს ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია ირლანდიაში იმყოფება, სადაც ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩვენი ქვეყნის შესახებ აქამდე უცნობ დოკუმენტაციას ეცნობა.


THE RISING OF THE LAZES.

(FROM AN OCCASIONAL CORRESPONDENT).

BATOUM, MAY 21.

It is known in England by this time that however much the Turkish Government itself might be inclined to settle affairs with Russia and to get rid of the presence of the unwelcome guests hovering about Stamboul, by the cession of Batoum, the transfer of the said district is not such an easy matter as may have been thought by the negotiators of the San Stefano Treaty. The Government might be willing to cast them off; but the populations of these parts have no wish to exchange their comparative freedom for the paternal rule of the Czar, and they are of a race which is used to de-

ირლანდიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საქართველოს ხელოვნების სასახლეს ინგლისური კორესპონდენციების ის ნაწილი გადასცა, რომელიც ლაზეთის ისტორიას, კულტურასა და ეთნოგრაფიას შეეხება.

ე.წ. ლაზური არქივი ძირითადად XIX საუკუნის პერიოდს შეეხება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მასალები 1878 წელს ლაზეთში მომხდარი აჯანყების შესახებ.

კორესპონდენციები ასევე მოიცავს XX საუკუნის პირველი ნახევრის ეთნოგრაფიულ ჩანაწერებსაც. დოკუმენტების უმეტესი ნაწილი საქართველოში გამოუქვეყნებელია.

ლაზური არქივი ხელოვნების სასახლეს ცნობილი პროექტის „ერეკლე მეფე ინგლისურ პრესაში“ გადაეცა. პროექტი, რომელიც „ქართუ ბანკმა“ დააფინანსა, მიზნად ისახავს ინგლისსა და ირლანდიაში საქართველოს შესახებ უცნობი ისტორიული წყაროების თარგმნასა და გამოცემას.

# ბათუმის მუსიკალური ფესტივალი ელისო ბოლქვაძის კონცერტით გაიხსნება



გამოჩენილი ქართველი პიანისტისა და იუნესკოს მშვიდობის ელჩის, ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდი „ლირა“ წელს უკვე მეოთხედ გამართავს საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს ბათუმი მიუზიქ ფესტ.

17-22 სექტემბერს, ბათუმის ხელოვნების ცენტრი ტრადიციულად, გრანდიოზულ ფესტივალს და მის სტუმრებს უმასპინძლებს.

მონაწილეობის მისაღებად ბათუმში საგანგებოდ ჩამოსული კლასიკური მუსიკის ვარსკვლავები, ბათუმის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, მსოფლიო და ქართული კლასიკური მუსიკის შედევრებს შეასრულებენ.

2015 წელს, პირველად საქართველოს მუსიკალური ფესტივალების ისტორიაში, ბათუმი მიუზიქ ფესტი ევროპული ფესტივალების ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა. ფესტივალის გაერთიანება ევროპის ფესტივალების ასოციაციაში ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია ადგილის დამკვიდრებისთვის საერთაშორისო სივრცეში, რაც თანამედროვე ქართული კულტურული ცხოვრების ასახვისთვის საუკეთესო საშუალებაა.

ფესტივალის ფარგლებში ყოველ წელს იმართება მასტერკლასები ქართველი ნორჩი პიანისტებისა და მევიოლინეებისათვის, სადაც წარმატებული კანდიდატები შეირჩევიან საზღვარგარეთ გალა-კონცერტებში მონაწილეობისათვის. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 8-16 წლამდე ახალგაზრდა მუსიკოსებს საქართველოს ყველა რეგიონიდან.

მასტერკლასები გაიმართება ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ სკოლაში. ფესტივალის ერთ-ერთი მთავარი აქცენტია მომავლის მუსიკოსების აღმოჩენა და ხელშეწყობა თავიანთი ნიჭის წარმოსაჩენად.

წელს მასტერკლასებზე სპეციალური მოწვევით ჩამოდის პროფესორი მოსკოვიდან ვალერი პიასეცკი, რომელიც ახალგაზრდა პიანისტებს მოუსმენს და შეაფასებს.

მევიოლინეების მასტერკლასებს კი გაუძღვება პროფესორი მანანა ქანთარია.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

---

მედიცინა



# რამდენიმე რჩევა სამკურნალო ბალახებისგან წამლების დამზადების წინ
## ნუ გამოიყენებთ ბალახს, რომელიც რამდენიმე წელია გიდევთ!

ნუ შეურევთ ერთ ჭურჭელში ერთბაშად ბევრ ბალახს!

ნუ აადუღებთ ბალახს ალუმინის, სპილენძის, თუნუქის ჭურჭელში. ამისათვის გამოიყენეთ ქაშანურის ან მინის ჭურჭელი!

ნუ მოამზადებთ ერთბაშად დიდი რაოდენობით ნახარშს. გაიანგარიშეთ რამდენი დაგჭირდებათ დღეღამის განმავლობაში და იმ რაოდენობის წამალი მოიმზადეთ!

ნუ ადუღებთ ბალახს დიდხანს, ნაყენი გააციეთ და ისე გაწურეთ!

ნუ დალევთ ცივ ნაყენს. თბილი უფრო დიდ ეფექტს იძლევა!

ნაყენის მოსადუღებლად ბალახებს ადუღებული წყალი დაასხით და დააყენეთ მჭიდროდ დახურულ ჭურჭელში განსაზღვრული დროით!

ნაყენი სვით იმდენხანს, რამდენიც რეკომენდებულია. შეწყვეტის შემთხვევაში წამლის ეფექტი სრულიად იკარგება.

### სამკურნალო მცენარეების უკუჩვენებები

**ალოე** – უკუჩვენება აქვს თირკმელებისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების, საშვილოსნოდან სისხლდენის, ბუასილის, ცისტიტისა და ორსულობის დროს.

**ჩვეულებრივი ანისული** – შეიძლება გამოიწვიოს ფიტოდერმატიტი, კონტაქტური დერმატიტი.

**კატაბალახა** – მისი ხანგრძლივი გამოყენება დიდი დოზით დაუშვებელია, ასეთ დროს მას დამთრგუნველი ქმედება აქვს. იწვევს თავის ტკივილს, პირღებინებას და არღვევს გულის მუშაობის რიტმს.

**არყის ხის კვირტები** – აღიზიანებს თირკმელებს, ამიტომ ექიმის კონტროლის გარეშე მისი ნაყენის სმა, როგორც შარდმდენი საშუალების, დაუშვებელია.

**ბროწეულის ნაყოფის წვენი** – აუცილებლად წყალნარევი უნდა მიირთვათ, რადგან ის შეიცავს ბევრ მჟავას, რომელიც კუჭს აღიზიანებს და შლის კბილის მინანქარს.

**ბროწეულის ქერქის ნაყენიც** საფრთხილოა, რადგან მისმა გადამეტებულმა დოზამ შეიძლება თავბრუსხვევა, მხედველობის გაუარესება და კრუნჩხვები გამოიწვიოს.

**სურნელა** – მიღება დაუშვებელია ორსულობის პერიოდში, რადგან იგი იწვევს ნაყოფის მოცილებას.

**ჟენშენი** – წამლები უნდა დამზადდეს წელიწადის ცივ დროს. დიდი დოზა და ხანგრძლივი მიღება იწვევს უძილობას, თავისა და გულის ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას.

**ძახველი** – იმის გამო, რომ ეს მცენარე შეიცავს პურინების გადამეტებულ რაოდენობას, მისი დიდი დოზით მიღება დაუშვებელია ნიკრისის ქარისა და თირკმელების დაავადების დროს.

**ჭინჭარი** – ამ მცენარეს ექიმის რეკომენდაციის გარეშე ნუ მიიღებთ, რადგან მისგან დამზადებული პრეპარატები არაა რეკომენდებული მაღალი პოთრომბინის, ჰიპერტონიის, ათეროსკლეროზის დროს. ასევე უკუჩვენება აქვს სისხლდენისას, რომელიც გამოწვეულია კისტით, პოლიპებითა და საშვილოსნოს სიმსივნით. ჭინჭრის პრეპარატები არ უნდა მიიღონ მათ, ვისაც თირკმელები აწუხებთ.



**კაკალი** – ნიგვზეულობისა და თხილეულის ჭამისას ზომიერების დაცვა აუცილებელია, რადგან მისი დიდი რაოდენობით მიღება იწვევს თავის ტვინის სისხლძარღვების სპაზმს, რაც თავის წინა მხარის ტკივილებს განაპირობებს.

### კბილის ტკივილის დასაამებლად

კბილის ტკივილის დროს ყოველთვის არ არის საშუალება მივმართოთ სტომატოლოგს. მოგაწვდით რჩევებს, თუ როგორ დაიამოთ კბილის ტკივილი სახლის პირობებში:

- აიღეთ ღორის ქონის (შეიძლება როგორც ახალი, ასევე დამარილებული, ოღონდ მარილი მოაცილეთ) ნაჭერი და დაიდეთ ღრძილზე მტკივანი კბილის ქვეშ. 15-20 წუთში ტკივილი გაქრება და საკმაო ხნითაც.
- თუ ოჯახში გაქვთ სალბი („შალფეი“), მოამზადეთ მისი ნაყენი და თბილივე ჩაიგუბეთ პირში მტკივანი კბილის მხარეს. პროცესი გაიმეორეთ რამდენჯერმე და კბილის ტკივილიც გაქრება.
- მტკივანი კბილის მხარეს, ყურში ჩაიდეთ კარგად გარეცხილი მრავალძარღვას ძირი და გაიჩერეთ ტკივილის გაქრობამდე.
- ავადმყოფს ხელზე, მაჯის შიგნითა მხრიდან უსვამენ დანაყილ ნიორს, შემდეგ ნიორს ადებენ იმ ადგილას, სადაც ისმის პულსაცია და მაგრად უკრავენ ბინტით. თუ კბილი მტკივნეულია მარჯვენა მხარეს, ნიორს მარცხენა ხელის მაჯაზე ადებენ და პირიქით.
- ასისთავას ანუ მარნისის ფოთლის წყალი იხმარება ღრძილებიდან სისხლდენის დროს, პირში გამოსავლებად.
- ასკილის თესლი იხმარებოდა ღრძილებიდან სისხლდენის შესაჩერებლად: „ვინცა ასკილის თესლი დანაყოს და დასისხლიანებულს კბილსა და ღრძილზედა დაიდვას, სისხლი დასწყუიტოს და გაუმრთელოს“.

### სასარგებლოა, იცოდეთ

- 40 გ კუნელის ყვავილს დაასხით 200 მლ მდუღარე წყალი, გააჩერეთ ცოტა ხანს და მიიღეთ 1 ს/კ 3-4-ჯერ დღეში.
- 20 გ კუნელის მწიფე ნაყოფს დაასხით 200 მლ მდუღარე და ჩაის სახით დალიეთ.

**რადიკულიტის დროს:**

- 6 წილი გამხმარ, დაქუცმაცებულ დაფნის ფოთოლს შეურიეთ 1 წილი დაქუცმაცებული ღვიის წიწვი და კარგად გასრისეთ 12 წილ კარაქში. მალამო წაისვით მტკივნეულ ადგილზე.
- 1 ს/კ დაფქული სვიის გირჩა გასრისეთ 1 ს/კ უმარილო ღორის ქონში ან კარაქში, წაისვით მტკივნეულ ადგილზე.

**ფეხების შეშუპების დროს:**

4 ჩ/კ სელის თესლს დაასხით 1ლ წყალი, ადუღეთ 10-15 წუთი, 1 საათი თავდახურული გააჩერეთ ბნელ ადგილას. გემოვნებით დაამატეთ ლიმონის წვენი. მიიღეთ 1/2 ჭიქა ცხელი ნაყენი 2-ჯერ დღეში.

**ქერტლის დროს:**

100 გ ბირკის ფესვებს დაასხით 1 ლ წყალი, 40 წუთი ადუღეთ ნელ ცეცხლზე. გააგრილეთ, გაწურეთ მარლაში, ნაყენი გადაივლეთ თმაზე ყოველი დაბანის შემდეგ.


# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთიერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმავლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**


---



## პროგრამა

**ოთხშაბათი 24 აგვისტო**

**07.00** დ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. როცა რობოტები ბატონობენ" **08.00** ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** ზღაპარი. "მძინარე მზეთუნახავი" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.10** ტ/სერ. "**წინ წარმატებისკენ**" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **12.30** მხ/ფ "**გარეუბანი**" **14.00** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **15.00** დ/სერ. "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** დ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. ეგვიპტე" **20.00** მოამბემოამბის სტუმარი **21.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **22.30** მხ/ფ "**უგზოუკვლოდ დაკარგული**"(ჯ.ლემონი) **00.40** მხ/ფ "**ოთხ ივლისს დაბადებული**"(ტ.კრუზი)

**08.00, 14.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **10.00**"გეოფაქტორი" **10.15** მხ/ფ "**იდეალური მამაკაცი**" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე** **17.00** დ/ფ "ინკების მარილი" **18.30** ტ/სერ. "**ჩრდილში მდგომნი**" **19.30**"ტელებლოგი" **20.00**"მოამბე" (5 ენაზე) **21.00**"ქართული დოკუმენტალისტიკა" **21.40, 01.10** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.40 ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა, პლეიოფი: **00.40**"ნამდვილი დრო"

**06.00** სერ. "**დახურული სკოლა**" **07.00, 14.40** სერ. "**ფიცი**" **08.00, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**ბამბის ველი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა **11.20** სერ. "**ქუმონგი**" **12.30** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 7 სერ. **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ – 5**" **23.00** სერ. "**სპარტაკი"–3**" 5 სერ. **00.00** მხ/ფ "**იპოვე ჭეშმარიტება**" **02.30** მხ/ფ "**ახალშობილი**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 12.30** სერ. "**გაბრიელა**" **08.45, 09.15** სერ. "**ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები**"1ს 8(10) **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45, 19.45, 20.05** სერ"**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** კომედის კონცერტი **2014** **23.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **00.00** ქერის უბანი **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. - "**ავატარი**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 0.30** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00, 2.30** სერ. "**ძვლები**" **14.10** მხ/ფ "**ბეჭდების მბრძანებელი**" **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** მხ/ფ "**ფარული აგენტი**" **23.30** სერ. "**ამერიკული საშინელებათა ისტორია**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.05** კვირიაკეს სიუჟეტი "ვახტანგ გორგასალი" **07.30** ჩვენი ფონდი "ქართული ხალხური სიმღერის შესახებ" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადის" კოლაჟი **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** დ/ფ "ქოზიფა" **11.05** ერთხელ ბავშვობაში "მზექალა შანიძე" **11.30** მგზავრები წუთისოფლისა "მცხეთის რაიონი, სოფ. სამება" **12.10** ღია აუდიტორია "ნინო ლორთქიფანიძე" **12.55** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია "კავკასიური სამოსი" **13.45** საყმაწვილო ენციკლოპედია **14.15** დეკორატიული ფლორა "ფიკუსი-ბენჟამენა" **14.30** დ/ფ "ალიასკელების მოგზაურობა საქართველოში" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.20** ღვთის სახლი "ოპიზის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანე" **15.45** დ/ფ "საქართველო და მსოფლიო **1900** წელი" **17.15** კონცერტი **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "ესაია"III ნაწ. **18.10** დ/ფ "ნოქალაქევი არქეოპოლისი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**დედუნა**" **20.40** ძილი ნებისა "ადამი და ევა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ღვთის სახლი "მამაწმინდა" **21.35** ეპოქის სახელები "წმინდა მიწა" **22.00** სიახლენი **22.25** ქართული ალბომი "ძველ მაგიდასთან" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი "ჩიქოვანები" **23.35** გამოყენებითი ხელოვნება "ფერწერა ბუმბულით" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** მხ/ფ "**ენი მწვანე სახურავების მამულიდან**" VIII სერ.

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ზოგადი თერაპია**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** "ღამის კონტაქტი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.55, 19.05** სერ. "**მოლოდინის სია**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.00** სერ. "**ჯადოქარი**" **21.50** "ღამის კონტაქტი" **22.45** სერ. "**მახე**" **23.30** სერ. "**მიშკა იაპონჩიკი**"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**24 აგვისტოსთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.2788

ევრო — 2.5739

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9836

100 რუსული რუბლი — 3.5383

## ამინდის პროგნოზი 24 აგვისტოსთვის






## 23 აგვისტოდან

**წიგნი სიყვარულისა**

წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, მანონ ლესკო



**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 30 აგვისტოდან



ერნესტ ჰემინგუეი

**განუყრელი დღესასწაული**

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 25 აგვისტოდან

**ძველი გულებისა და ხმლისა**

აკა მორჩილაძე

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**



მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

## 26 აგვისტოდან

**ბორის აკუნინი**

გრიგოლ ჩხარტიშვილი

**სასაფლაოს ამბები**



**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**



## იუმორი



კაცმა პოლიკლინიკაში ანალიზები ჩააბარა და ლაბორატორიიდან მიიღო პასუხი: „ქილა ვერ გავხსენით“.

•••

ექიმი მამაკაცს ეკითხება:
– ეწევით?
– არა,
– სვამთ?
– არა.
– იდიოტივით ნუ იცინით, მაინც გიპოვით რამეს...

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:
– ძვირფასო, ფანჯარაში გადაიხედე, ეზოში ვარდისფერბაფთიანი ახალი მანქანა დგას!
– რომელიმე ჩვენს მეძავ მეზობელს მოუყვანდნენ!
– ძვირფასო, ის შენთვისაა...

•••

რესტორანში კლიენტთან მისულ ოფიციანტს კისერზე ძაფით კოვზი აქვს ჩამოკიდებული. კლიენტი ეკითხება:
– უკაცრავად და ეგ კოვზი რატომ გაქვთ ძაფით ჩამოკიდებული?
– იცით რაშია საქმე, წარმოიდგინეთ, რომ თქვენთვის წვნიანი მომაქვს და ამ დროს მასში ბუზი ჩავარდა. მე კოვზით აკურატულად ამოვიღებ ბუზს, ხელი რომ ჩამეყო, ხომ არაჰიგიენური იქნებოდა?!
– გასაგებია და კიდევ ერთი შეკითხვა, შარვლის შესაკრავიდან რა ძაფი მოგიჩანთ?
– ეს იმ შემთხვევისთვის, თუ უცბად ტუალეტი მომინდება, ძაფს მოვქაჩავ და ხელები სუფთა მექნება.
– კი მაგრამ, უკან, როგორ აბრუნებთ?
– კოვზით!

•••

ორი დაქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:
– წარმოგიდგენია, ერთი კვირის წინ ჩემი კატა დაიკარგა, მაგრამ ოთხი დღის შემდეგ ქუჩაში ვიპოვე და სახლში მოვიყვანე. ამ დილით კი ჩემი კატა დაბრუნდა. ახლა სახლში ორი ერთნაირი კატა მყავს.
– აუუ, წარმომიდგენია, რა დაემართებოდა შენ პირველ კატას, სახლში რომ დაბრუნდა, ის კი უკვე სახლშია...

•••

კაცი ტაქსს აჩერებს და მძღოლს ეუბნება:
– დიდგორში წამიყვან?
– ქუჩაზე?
– არა, ბრძოლის ველზე.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:
– ძვირფასო, ხომ არ იცი, სად შევინახე სოლარიუმის ბილეთები?
– ფერმკრთალებს დავურიგე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კლაუდიო ბრავო მანჩესტერში გაემგზავრა



კლაუდიო ბრავოს მანჩესტერ სიტიში ტრანსფერი დასასრულს უახლოვდება. ბრავომ სამშაბათს ესპანეთი დატოვა და მანჩესტერში გაემგზავრა. ხუთშაბათს ის ოფიციალურად მანჩესტერ სიტის ფეხბურთელი გახდება. ინგლისელები ამ ტრანსფერში 20 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაიხდიან, რაც დაახლოებით 25 მილიონი ევროა. ასევე ცნობილი გახდა, რომ ბრავოს შემცვლელად აიაქსის მეკარე იასპერ სილისენი მოგვევლინება. სილისენი რამდენიმე დღეში ჩაფრინდება ბარსელონაში და კონტრაქტს ოფიციალურად ხელს მოაწერს.

სილისენი 27 წლის არის და ის ჰოლანდიის ნაკრების პირველი მეკარეა.

## გარეტ ბეილმა რეალთან ახალი კონტრაქტი გააფორმა



მადრიდის რეალის უელსელმა ფორვარდმა გარეტ ბეილმა თავის გუნდთან ახალი 5 წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც ის რეალში 2021 წლის ჩათვლით ითამაშებს.

ბეილმა თავის წარსულზე ისაუბრა და საკმაოდ საინტერესო განცხადებაც გააკეთა. გარეტმა აღიარა, რომ შარშანდელ სატრანსფერო ბაზარზე მის მიმართ მანჩესტერ იუნაიტედი დიდ ინტერესს იჩენდა და ბეილი ინგლისში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ საბოლოოდ ესპანეთში დარჩენა ამჯობინა.

უელსელი ფეხბურთელის თქმით, ის ძალიან ბედნიერია მადრიდში და ზიდანთან ერთად მისი გუნდი ბევრს მიაღწევს.

## ვალენსია შკოდრან მუსტაფის გაყიდვას არ აპირებს



ვალენსიას გერმანელი მცველის შკოდრან მუსტაფის მიმართ დიდი ხანია ინტერესს იჩენს ლონდონის არსენალი, რომელმაც ესპანურ გუნდს ოფიციალური წინადადებითაც მიმართა, მაგრამ ვალენსიამ უარი განაცხადა.

ვალენსიას მთავარმა მწვრთნელმა პაკო აისტერანმა განაცხადა, რომ მუსტაფი არ იყიდება და ის მომავალ სეზონში ვალენსიას შემადგენლობაში იქნება. აისტერანმა იგივე განცხადება გააკეთა პაკო ალკასერზეც, რომელიც ბარსელონას ერთ-ერთი სამიზნეა.

მისი თქმით, ალკასერი ასევე არ იყიდება და ისიც კარიერას ვალენსიაში გააგრძელებს.

თვითონ მუსტაფი და ალკასერი ჯერჯერობით ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებენ.

## ტოტენჰემი მუნირის შეძენას ცდილობს



ტოტენჰემის მთავარი მწვრთნელი მაურისიო პოჩეტინო შემტევი ფეხბურთელის ყიდვას აპირებს და მან თავისი არჩევანი ბარსელონას ახალგაზრდა ფორვარდზე მუნირ ელ ჰადადიზე შეაჩერა.

პოჩეტინოს ძალიან მოსწონს მუნირის თამაშის სტილი და მის გადმოსაბირებლად ყველაფერს გააკეთებს.

ტოტენჰემი ამ ტრანსფერში 13 მილიონ გირვანქა სტერლინგს ჩამოდის, თუმცა ბარსელონას პასუხი ჯერჯერობით უცნობია.

მუნირი პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება, მაგრამ მაღალი კონკურენციის გამო ბარსელონას ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე არ არის.

## ჯო ჰარტს ვარჯიშზე გვარდიოლასთან შელაპარაკება მოუვიდა

ხოსეპ გვარდიოლას მისვლის შემდეგ მანჩესტერ სიტის მეკარის ჯო ჰარტის პოზიციები საგრძნობლად შეირყა. ჰარტმა უკვე გამოტოვა რამდენიმე მატჩი და გვარდიოლამ მას აგრძნობინა, რომ ის სიტიში პირველი მეკარე აღარ იქნება.

ჰარტი, რომელიც წლების მანძილზე სიტის ძირითადი მეკარე იყო, ბუნებრივია, უკმაყოფილოა და მას ვარჯიშზე გვარდიოლასთან უსიამოვნო, ხმამაღალი საუბარი ჰქონდა.



გვარდიოლა ამ ფაქტს უარყოფს, თუმცა აშკარაა, რომ მას ჰარტთან დაძაბული ურთიერთობა აქვს.

ჯო ჰარტი, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში მანჩესტერ სიტის დატოვებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული; 2. პარაზიტი, მკბენარა მწერი; 3. რაიმე ამოცანის ამოსახსნელად საჭირო მათემატიკურ მოქმედებათა ერთობლიობა; 4. ყველაზე მაღალი მწვერვალი პირინეის ნახევარკუნძულზე; 5. ცხელი ქარი; 8. აზერბაიჯანის ფეხბურთელთა გუნდი; 9. ფარისეველი, ქლესა, ცბიერი ადამიანი; 12. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის ქორწინების შთამომავალი სამხრეთ ამერიკაში; 14. ოპერა „სეველიელი დალაქის“ კომპოზიტორი; 16. ფულის ერთეული ჩინეთში.

**თარაზულად**: 1. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. ტროპიკებში გავრცელებული წყლის დიდი ფრინველი; 7. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო გემი; 9. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 10. კულინარიასა და მედიცინაში გამოყენებული ორნახშირმჟავა ნატრიუმის ნაერთის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 11. მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 13. შვეიცარიის დედაქალაქი; 15. მექანიკური მუსიკალური საკრავი; 17. საკუთარი საქციელის ავკარგიანობის შინაგანი შეფასება; 18. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 19. წინასწარ აღებული მისაღები თანხის ნაწილი; 20. სკანდინავიელი მეომარი მეზღვაური.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

